ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

ორშაბათი, 9 მაისი, 2022 №89 (8867) ფასი: 80 თეთრი

## 3 თვეში სამინისტროებმა 3.497 მილიარდი ლარი დახარჯეს



გვ.4

# „ნიკა მელიამ ჩაკლა პროცესი! „ოცნებისთვის“ კომფორტული ლიდერია!“




გვ.3

## „ივანიშვილი მისი ხელისუფლების ბოლო საათებს შეხვდება ჰაერში. ის გაიქცევა ქვეყნიდან“



გვ.2

„სააკაშვილი რა დღეშიც არის, ეს ოპოზიციის და ნაციონალური მოძრაობის უამრავი შეცდომის შედეგია, მაგრამ ამით ქვეყანა ზარალდება“

**დავით ბერძენიშვილი: „პუტინმა 9 მაისი სიკვდილის დღედ აქცია“**



გვ.4

## „დასავლეთს არ აწყობს საქართველოს ომში ჩაბმა“

მირიან მირიანაშვილი: „ვაშინგტონში ჩასულ ქართველი პოლიტიკოსების დელეგაციებს, იქ დიდი ეჭვით უყურებენ“

## ლაშა ჩხარტიშვილი: „ხალხი ქუჩაში არ გამოვა, სანამ ოპოზიცია ბიძინას ოფისშია გაჭედილი“



გვ.4

**გიგი უგულავა: „ჩიზბურგერის“ კატლეტივით უნდა მოვაქციოთ „ქართული ოცნება“**



გვ.3



**ვახტანგ მეგრელიშვილი: „თუ „ნაცმოძრაობა“ დაიშლება, სააკაშვილის გათავისუფლებას ბევრი მხარდამჭერი ეყოლება“**

1993230720223

**5** ბათუმში საპროტესტო აქციაზე 25 პირი დააკავეს

**6** ბუჩაში დამპყრობლებმა მომწამვლელი ნივთიერება დატოვეს

**5** სპეცოპერაციაზე ვარკეთილში ბექა და გიორგი შენგელია დააკავეს

**6** ზელენსკის ცნობილი ქურთუკი აუქციონზე გაიყიდა

# „ივანიშვილი მისი ხელისუფლების ბოლო საათებს შეხვდება ჰაერში. ის გაიქცევა ქვეყნიდან“

## დავით ბერძენიშვილი: „პუტინმა 9 მაისი სიკვდილის დღედ აქცია“

ნონა ცაბაძე

**„ახალი თაობის“ კითხვებს რესპუბლიკური პარტიის ერთ-ერთი ლიდერი დავით ბერძენიშვილი პასუხობს.**

***– ბატონო დავით, ნინო წილოსანი აცხადებს, ოკუპაციის გარდა, პუტინისგან ისეთი შეურაცხყოფა არ მახსენდება, როგორიც უკრაინისგანო. რას ნიშნავს ეს განცხადება „ოცნების“ დეპუტატის მხრიდან?***

– შემიძლია ძალიან ბევრი ვაშაყირო. ადამიანს აქვს უფლება, კონსტიტუციით უზრუნველყოფილი, შეუვალია ეს უფლება, იყოს ისეთი, როგორიც არის. ხალხი უკვე ძალიან ბევრს ხუმრობს მის განცხადებაზე. არც თემურ ლენგისგან გვახსოვს პირადი შეურაცხყოფა, სულ რაღაც ექვსჯერ თუ რვაჯერ ილაშქრა მხოლოდ საქართველოში. მე სერიოზულად ვერ შევაფასებ ამ განცხადებას. როდესაც ადამიანი ამბობს, ოკუპაციის გარდა, არაფერი შეურაცხმყოფელი მათ არ უთქვამთო, ეს წამოცდენა ადასტურებს იმას, რომ მისთვის ოკუპაცია, სინამდვილეში, ოკუპაცია არ არის.

***– ხელისუფლების წარმომადგენლების მხრიდან მსგავსი განცხადებები, რამდენად აზარალებს ჩვენს ქვეყანას საერთაშორისო დონეზე?***

– იცით რა, იმდენად უსუსურები არიან, რომ ბევრს ვერ გვაზარალებენ, კიდევ კარგი. რა თქმა უნდა, უსიამოვნოა, თავს ვიკავებ, რომ რაიმე ეპითეტი არ წამომცდეს, რომ არ მეკადრება ისეთი. თავის დროზე, ასეთ დეპუტატებს მე მეჩაიე დეპუტატებს ვეძახდი. უკრაინაში აირაიმ ჩაატარა გამოკითხვა.

აირაის კვლევის მიხედვით, საქართველო პოლონეთის, ამერიკის და ბრიტანეთის მერე, არის უკრაინაში ნდობის რეიტინგით მეოთხე ადგილზე. ჩვენ ვუსწრებთ ლიტვას, რუმინეთს და ბევრ სხვა ქვეყანას, რომლებიც ასჯერ მეტად ეხმარებიან დღეს უკრაინას, ვიდრე საქართველო.

***– მაშინ რატომ გვაქვს ამხელა ნდობა?***

– არის ისტორიული, ტრადიციული, ურთიერთსოლიდარობა, ურთიერთსიყვარული, ურთიერთპატივისცემა საქართველოსა და უკრაინას შორის. არიან ქართველი მებრძოლები უკრაინაში. არის ოპოზიცია, არის ქართული მედია. მთელი ქვეყანა მოფენილია ორი ფერით. ორ ფერშია დღეს მთელი საქართველო, იმის მიუხედავად, ხელისუფლების რომელი წარმომადგენელი რას იტყვის. კახი კალაძე სიტყვით თავს იშტერებს, მაგრამ უკრაინელი ლტოლვილები, რომლებიც აქ არიან, ხედავენ, რომ მთელი ქალაქი არის ლურჯ-ყვითელი. ასე რომ, საქართველოს ვერ აზარალებს მისი უვარგისი ხელისუფლება. ვერ წონის ამ ყველაფერს ხელისუფლების განცხადებები. რომელიც მე-17 ხარისხოვანია უკრაინელებისთვის. ომში მყოფ უკრაინელებს სულ არ აინტერესებთ, რას ამბობენ მეჩაიე დეპუტატები. მე გაცილებით მეტ ყურადღებას ვაქცევ უკრაინელების ამ კეთილგანწყობას საქართველოს მიმართ, ვიდრე საქართველოს ხელისუფლების პირველი, მეორე თუ 87-ე წარმომადგენლის სულელურ განცხადებას.

***– 9 მაისი თენდება და არის შიში, რას მოიმოქმედებს პუტინი. რამდენად სახიფათო დღე გათენდება უკრაინისთვის?***



**„სააკაშვილი რა დღეშიც არის, ეს ოპოზიციის და ნაციონალური მოძრაობის უამრავი შეცდომის შედეგია, მაგრამ ამით ქვეყანა ზარალდება“**

– 8 მაისი რომ არის ფაშიზმზე გამარჯვების დღე, ეს იცის ევროპამ, მთელმა დასავლეთმა და ეს უკვე ვიცით ჩვენ. რაც შეეხება 9 მაისისადმი დამოკიდებულებას, ღმერთმა დიდხანს ამყოფოს და ძალიან ცოტა ადამიანია დარჩენილი, ნაომარი და დღეს სწორედ იმათი წინააღმდეგია პუტინი. იმათაც კი ეს 9 მაისის დღესასწაული უქცია, უკრაინაში საომარი მოქმედებების გაფართოების დღედ. პუტინმა 9 მაისი აქცია ბოროტების დღედ! ისედაც 8 მაისი იყო გამარჯვების დღე და სათუო იყო 9 მაისი დასავლეთის აღქმაში. ახლა კი 2022 წლის პუტინის 9 მაისი, ეს არის რუსეთის ბოროტი იმპერიის, ბოროტების თარიღი.

***– თქვენც ხართ მომხრე, რომ ეს დღე 8 მაისს აღინიშნოს?***

– კი, ასე უნდა იყოს. პუტინი ისეთ რამეს აპირებს დღეს და ისე ააჟღარუნებს იარაღს და ისეთ აგრესიის თარიღად აქცევს, რომ ეს გადაფარავს 1945 წლის საბჭოთა თარიღს, 9 მაისს! თორემ მთელი მსოფლიოსთვის ისედაც 8 მაისია. პუტინი კლავს ამითი გამარჯვების 9 მაისს და ქმნის სიკვდილის 9 მაისს!

***– რა მოლოდინი გაქვთ, აიღებენ მარიუპოლს?***

– მარიუპოლში ძალიან დიდხანს გაგრძელდება ეს ბრძოლები აზოვსტალის ტერიტორიაზე, მიწისქვეშეთში. მე არ ვარ სამხედრო ექსპერტი და დეტალებზე ვერ ვისაუბრებ. თუმცა აშკარაა, რომ მებრძოლები დანებებას არ აპირებენ. ვარაუდობენ, რომ უკვე დასავლური იარაღით გადაიარაღებული უკრაინის არმია, მაისის ბოლოს, ივნისის დასაწყისში, გადავა კონტრშეტევაზე და ალბათ მარიუპოლის დამცველების ამოცანაა, თვის ბოლომდე, ივნისის დასაწყისამდე ჯოჯოხეთი შეუქმნან მათი განადგურების მოსურნე რუსულ ქვედანაყოფებს. იქნება ძალიან დიდი მსხვერპლი რუსებისა და ვნახოთ, უკრაინის და დასავლეთის სამხედრო აქტიურობაზე, კონტრშეტევაზე არის დამოკიდებული, შეძლებენ თუ ვერ შეძლებენ მარიუპოლის დამცველები მანამდე საკუთარი სიცოცხლის შენარჩუნებას.

***– მარიუპოლის დაცვასა და მის ვერაღებაზეც ალბათ ბევრი იქნება დამოკიდებული, თუნდაც ფსიქოლოგიურად?***

– რა თქმა უნდა. მარიუპოლამდე 120-150 კილომეტრია უკრაინის ჯარებიდან, მაგრამ სხვაგან უნდა ჰქონდეს უკრაინას წარმატება, რომ რუსეთმა მთელი თავის ენერგია, სამხედრო ძალები ვერ მოახმაროს მარიუპოლის დამცველების განადგურებას. მე უფრო ფართო კონტექსტში ვუყურებ ამ ყველაფერს.

***– რას გულისხმობთ?***

– ირაკლი ღარიბაშვილმა, მისდა უნებურად თქვა კალამბური. გაგახსენებთ ახლა, ვაქცინა არ მუშაობს, სანქცია არ მუშაობს! რა თქმა უნდა, ირაკლი ღარიბაშვილს დღემდე არა აქვს წარმოდგენა, ეს კალამბური შეიძლება იყოს ცივი ომის ნარჩენი მოვლენების დამთავრების აღმნიშვნელი. როგორც იქნა, დასავლეთმა მიიღო სწორი გადაწყვეტილება რუსეთის იმპერიის ნარჩენების განადგურებაზე და ეს უკრაინის გამძლეობამ აიძულა. თუნდაც ერთი წუთით რომ წარმოვიდგინოთ, უკრაინამ რაღაც მომენტში ვეღარ გააგრძელა სამხედრო წინააღმდეგობა. თუმცა ამის ალბათობა არის 1-99-ის წინააღმდეგ! ასეთ შემთხვევაშიც კი, უკვე ჩართული დასავლური მანქანა არ გამოირთვება. დასავლეთი დაახრჩობს რუსეთს და დაანგრევს რუსეთის იმპერიის აი ამ ბოლო გაფართხალებას. რუსეთი ეს არის მრავალთავიანი ურჩხული და ახლა გამოჩნდება, ბოლო თავს მოაჭრიან, მორიგ თავს მოაჭრიან თუ ეს ურჩხული დასავლეთის უთავობით ისარგებლებს.

***– უთავოა დღეს დასავლეთი?***

– არ ჩანს, რომ დასავლეთი უთავო იყოს. კარგი ლიდერები აღმოაჩნდა. უკრაინასაც კარგი ლიდერები აღმოაჩნდა. კიდევ ერთი რამ უნდა ვთქვა, ძალიან მნიშვნელოვანი. როდესაც ბორის ჯონსონი ჩაერთო უკრაინის პარლამენტს, პრეზიდენტი ზელენსკიც პარლამენტში იყო. სწორედ მან თქვა საპასუხო სიტყვაში, რომ ჩვენ ყველა, აქ ვინც ვართ, ვართ ერთი პარტია! ესაა უკრაინა. მთელი უკრაინა შეკრულია. პოროშენკოზე საქმე იყო აღძრული და ახლა ის კაცი იბრძვის, ყოფილი პრეზიდენტი. ჩვენმა ხელისუფლებამ კი ყოფილი პრეზიდენტი რა დღეში ჩააგდო, აგერ ვხედავთ! ამ ვითარებაში, შიდა ქართული ძალიან მდარე პოლიტიკა, რომ მოდი ახლა მტრის ხატად გამოვიყენოთ მიხეილ სააკაშვილი და პერიოდულად ვუყუროთ, რომ მთლად არ მოკვდეს. ხოლო ნახევრად თუ მოკვდება, ეს ჩვენთვის სასარგებლო იქნება. ეს ადამიანურად არის მიუღებელი. ეს არის პოლიტიკურად ქვეყნისთვის დამაზარალებელი. ეს მტრის ხატზე აგებული პოლიტიკის გაგრძელების უზრუნველყოფა. ეს არის ოპოზიციის და ნაციონალური მოძრაობის უამრავი შეცდომის გამოყენება, მაგრამ ამით ქვეყანა ზარალდება. რამდენ ხანსაც არ უნდა გაწელოს ბიძინა ივანიშვილმა ეს პროცესი, უკრაინაში დასავლეთის გამარჯვება, რა თქმა უნდა, მოიტანს დასავლეთის გაძლიერებას საქართველოში. პირობას გაძლევთ, ივანიშვილი, მისი ხელისუფლების ბოლო საათებს შეხვდება ჰაერში. ის გაიქცევა ქვეყნიდან!

# კარლ ჰარცელი: „ველოდები ევროკავშირის კითხვარის მეორე ნაწილზე პასუხების მიღებას“



– ევროკავშირის კითხვარის მეორე ნაწილის პასუხებზე ჩემი მოლოდინია, რომ ის დაპირებისამებრ დროულად იქნება. ეს მოხდება სამშაბათს ან სხვა დღეს. მჯერა, რომ შემდეგი კვირის დასაწყისი იქნება.

ამის შესახებ საქართველოში ევროკავშირის ელჩმა კარლ ჰარცელმა განაცხადა.

მისი თქმით, ევროკავშირის კითხვარის მეორე ნაწილზე კითხვების მიღების შემდეგ ბურთი ევროპული კომისიის მოედანზე იქნება.

– ველოდები ევროკავშირის კითხვარის მეორე ნაწილზე პასუხების მიღებას, რაც იმას ნიშნავს, რომ ამის შემდეგ ბურთი არსებითად ევროპული კომისიის მოედანზე იქნება, რომელიც შეიმუშავებს თავის დასკვნას ევროპულ საბჭოში წევრი ქვეყნებისთვის წარსადგენად, – განაცხადა ელჩმა ჰარცელმა.

# აშშ-ში დავით ზალკალიანის რწმუნებათა სიგელების ასლების გადაცემის ცერემონია გაიმართა

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტში საქართველოს ელჩის დავით ზალკალიანის რწმუნებათა სიგელების ასლების გადაცემის ცერემონია გაიმართა.

რწმუნებათა სიგელის ასლების გადაცემის ცერემონიას სახელმწიფო დეპარტამენტის პროტოკოლის უფროსი, ევროპის და ევრაზიის საკითხებში აშშ-ის სახელმწიფო მდივნის თანაშემწე ერიკა ოლსონი, კავკასიის საქმეთა და რეგიონალური კონფლიქტების ოფისის დირექტორი ლორა ჰოჩლა და საქართველოს დესპანი



აშშ-ში გიორგი ციკოლია ესწრებოდნენ.

„ცერემონიის შემდეგ გამართულ შეხვედრაზე მხარეებმა განიხილეს საქართველო-აშშ-ის სტრატეგიული პარტნიორობის კიდევ უფრო გაღრმავების საკითხები და ორი ქვეყნის თანამშრომლობის პრიორიტეტული მიმართულებები, ასევე მხარეები მიესალმნენ საქართველოსა და აშშ-ს შორის დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების 30 წლის იუბილეს.

აშშ-ის მხარემ ახალ ელჩს თანამდებობაზე დანიშვნა მიულოცა და წარმატებები უსურვა მომავალ საქმიანობაში.

დავით ზალკალიანმა მადლობა გადაუხადა აშშ-ის მხარეს საქართველოს სახელმწიფოს განვითარების 30-წლიანი მტკიცე მხარდაჭერისთვის და გამოხატა მზაობა, ახალ თანამდებობაზე საქმიანობისას, აქტიურად შეუწყოს ხელი საქართველოსა და აშშ-ის შორის სტრატეგიული პარტნიორობის განმტკიცებას ყველა პრიორიტეტული მიმართულებით“ – აღნიშნულია დავით ზალკალიანის ფეისბუქში გავრცელებულ ინფორმაციაში.

# საბა ბუაძე: „სააკაშვილი ხელისუფლებაში არ უნდა დაბრუნდეს“

– მიმაჩნია, რომ მიხეილ სააკაშვილი ხელისუფლებაში არ უნდა დაბრუნდეს.

ამის შესახებ „ლელოს“ ერთ-ერთმა წევრმა საბა ბუაძემ ტელეკომპანია „პალიტრანიუსის“ გადაცემაში „360 გრადუსი“ განაცხადა.

ამასთან, როგორც ბუაძემ აღნიშნა, საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი ჰუმანურ მოპყრობასა და ადეკვატურ მკურნალობას იმსახურებს, თუმცა, პოლიტიკური დღის წესრიგის ცენტრალური საკითხი ეს არ უნდა იყოს. – სააკაშვილთან დაკავშირებით ვიტყვი ერთს, ნამდვილად არ ვარ სააკაშვილის პოლიტიკური გულშემატკივარი, მიმაჩნია, რომ ის ხელისუფლებაში არ უნდა დაბრუნდეს, მაქვს შეფასება მისი მმართველობის, გარკვეულწილად პოზიტიური, გარკვეულწილად – ნეგატიური, ყოველთვის მისი ოპოზიცია ვიყავი, მაგრამ ის არის საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი, რომელიც იმსახურებს ჰუმანურ მოპყრობას, რომელიც იმსახურებს, რომ მისი ჯანმრთელობა იყოს დაცული და მისი მკურ-



ნალობა იყოს ადეკვატური.

თუ ვსაუბრობთ იმაზე, რომ ეს უნდა იყოს პოლიტიკური დღის წესრიგის ცენტრალური საკითხი, სამწუხაროდ, ეს არის ჩვენი არსებული რეალობის საპირისპირო. მესმის, რომ არსებობს საზოგადოებაში ჯგუფები, რომელთათვისაც სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობა ძალიან მნიშვნელოვანია, მაგრამ ახლა საკრებულოს სხდომიდან მოვდივარ აქ და გეტყვით, რომ იქ გაცილებით სხვა პრობლემებია.

კორუფციის ლეგალიზაცია მიდის, ახლაც კოეფიციენტის ფორმულირების წესი ისე შეცვალეს, რომ დეველოპერებს კიდევ დაემატებათ რამდენიმე ასეული ათასი დოლარი, მაგალითად, კალაძემ საკუთარ ძმაკაცს გაუორმაგა კოეფიციენტი და ამით რამდენიმე მილიონის ქონება ჩაუდო ჯიბეში, ამ ფონზე, საზოგადოება სავალალო მდგომარეობაშია.

ვფიქრობ, ჩვენი პოლიტიკური დღის წესრიგის ცენტრალურ საკითხად ეს უნდა გადავაქციოთ. მესმის, რომ არის ეს პრობლემა, რომელსაც სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობა ჰქვია, მაგრამ ხელისუფლების ცვლილების გარეშე ეს არ მოგვარდება, – განაცხადა ბუაძემ.

ISSN 1987-9385
ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლეჟავაშვილი
ვებგვერდი: akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

## „საქართველოს ძალიან ღირებულ პარტნიორად მივიჩნევთ“




### ხავიერ კოლომინას განცხადება

„საქართველო ასპირანტი სახელმწიფოა და ისეთი პარტნიორი, ვისთანაც თანამშრომლობა ჩვენთვის ბევრი მიზეზის გამო არის ღირებული“.

ამის შესახებ სამხრეთ კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში ნატოს გენერალური მდივნის სპეციალურმა წარმომადგენელმა ხავიერ კოლომინამ განაცხადა.

– ნატოს ღია კარი ძალიან აქტიურია და წარმატებული პოლიტიკაა ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში. ნატოს კარი ღიაა და გზავნილი მკაფიო. ჩვენ ვართ კმაყოფილი თანამშრომლობით როგორც პრაქტიკული, ასევე პოლიტიკური მიმართულებით, საქართველოს ძალიან ღირებულ პარტნიორად მივიჩნევთ. საქართველო ასპირანტი სახელმწიფო და ისეთი პარტნიორია, ვისთანაც თანამშრომლობა ჩვენთვის ბევრი მიზეზის გამო არის ღირებული. მაგრამ არის შეშფოთება რეფორმების შესრულებასთან დაკავშირებით, ვითხოვთ – მართლმსაჯულების რეფორმა, საარჩევნო რეფორმა, უსაფრთხოების სექტორი, ბოლო წელიწად-ნახევარია, ისე არ განვითარდა პროცესი, როგორც ველოდებოდით.

პოლიტიკური პოლარიზაცია, ასევე, ჩვენი შეშფოთების საგანია და რეფორმებში ეს საქართველოს არ ეხმარება. ეს ელემენტები იყო ჩვენი განხილვის საგანი, – განაცხადა კოლომინამ.

## გიგი უგულავა: „ჩიზბურგერის“ კატლეტივით უნდა მოვაქციოთ „ქართული ოცნება“



– შიგნიდან წნეხი, გარედან წნეხი და ასე „ჩიზბურგერის“ კატლეტივით უნდა მოვაქციოთ „ქართული ოცნება“, რომ ისევ ჩვენ არ ჩავვარდეთ, როგორც ქვეყანა ორმოში, 90-იან წლებში.

ამის შესახებ ოპოზიციონერმა ლიდერმა, გიგი უგულავამ განაცხადა, რომელიც ბათუმში, საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის მხარდამჭერ აქციაზე იმყოფებოდა.

უგულავას თქმით, ოპოზიციის სამოქმედო გეგმა აქციებია.

– უნდა გვესმოდეს, რომ უფსკრულის წინაშე ვართ, რადგან გვესმის ექიმების საუბარი. რაც არ უნდა იძახონ, ომბუდსმენი არის ადამიანი, რომელიც თავის საქმეს ასრულებს,

აქეთ ვინ გველაპარაკება – კობახიძე, მდინარაძე, აქეთ ერთი ექიმიც არ არის, რომელიც დაგვამშვიდებს, გვეტყვის, რომ არაფერია. გამოდის კალაძე და იძახის, რომ უნიჭო სპექტაკლია. ექიმია, რამე სამედიცინო კვალიფიკაცია აქვს ცხოვრებაში, თუ რა. ჩვენ ვიძახით ერთ რაღაცას, კი ბატონო, ეს ექიმები არ გინდათ?

სხვა ექიმები ჩამოიყვანეთ უცხოეთიდან, გაასინჯეთ, რატი ბრეგაძე ხომ არ არის ექიმი? როგორ შეიძლება იძახო ადამიანის თვითდაზიანებაზე, ანორექსია ეს არის – გინდა, მაგრამ ვერ ჭამ და იმას, რასაც ჭამ, აბრუნებ, რადგან ორგანიზმი არ იღებს. ეს არის უსაშინლესი დაავადება, ამ დაავადებას თუ შეყევი, 20%-ია ლეტალობა.

სამოქმედო გეგმა არის აქციები, წნეხი შიგნით და წნეხით გარეთ, გარეთ ხედავთ, რომ ეს წნეხი იზრდება და პროპორციულად გაიზრდება შიგნიდანაც. შიგნიდან წნეხი, გარედან წნეხი და უნდა მოვაქციოთ ასე „ჩიზბურგერის“ კატლეტივით „ქართული ოცნება“, რომ ისევ ჩვენ არ ჩავვარდეთ, როგორც ქვეყანა ორმოში, 90-იან წლებში, – განაცხადა უგულავამ.

# „ნიკა მელიამ ჩაკლა პროცესი! „ოცნებისთვის“ კომფორტული ლიდერია!“

## თაკო ჩარკვიანი: „ამხელა ფინანსები შესდის პარტია ნაციონალურ მოძრაობას და გაუგებარია, ფული რატომ არა აქვთ?!“

ნონა ცაბაძე

**„ახალი თაობის“ კითხვებს თაკო ჩარკვიანი პასუხობს.**

***– ქალბატონო თაკო, შიდა პოლიტიკურ საკითხებში ერთ-ერთი მთავარი თემა მიხეილ სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობაა. პენიტენციური დაწესებულება ავრცელებს განცხადებას, რომ სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობა სტაბილურია, რომ მას ყველა სათანადო გამოკვლევა ჩაუტარდა და პოლიტიკოსები მოეშვნენ პოლიტიკურად ანგაჟირებული განცხადებების კეთებასო. რას იტყვით თქვენ? ევროკავშირი აცხადებს, რომ სააკაშვილის ჯანმრთელობაზე პასუხისმგებლობა მთლიანად ხელისუფლებას ეკისრება. რას იტყვით თქვენ, რა მოლოდინები გაქვთ?***

– მდგომარეობა უმძიმესია და, რა თქმა უნდა, უპირველეს ყოვლისა, სწორედ ხელისუფლებას ეკისრება პასუხისმგებლობა. ამაში ორი აზრი არ არის. თუმცაღა, უკვე მგონია, რომ საზოგადოებაც ვერ აირიდებს პასუხისმგებლობას. განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, ღმერთმა არ ქნას, მტერს და ავს, ხელისუფლებას რომ შემოაკვდეს პრეზიდენტი სააკაშვილი. ამ სირცხვილს საერთოდ ვერ აირიდებს ქართული სახელმწიფო და ვფიქრობ, ეს იქნება კატასტროფა სამომავლოდ. შეუძლებელია, დაგერქვას პრეზიდენტების მკვლელთა სახელმწიფო. ამაზე არც მე უნდა ვსაუბრობდე, არც კობახიძე, არც სუბარი და არც პეტრე და ივანე. ამაზე უნდა საუბრობდნენ ექიმები და ჩვენ მათ უნდა ვუგდებდეთ ყურს. აი ეს არის ნორმალური დამოკიდებულება ამ დროს. როდესაც ექიმთა კონსილიუმი გამოდის და ამაზე საუბრობენ, ვიწვევთ ბრიტანელ ექსპერტს, მეტიც, ვთავაზობთ, რომ ვინც გნებავთ, ის შემოიყვანეთ, რომელიც თვალნათლივ ნახავს რა მდგომარეობაა. ეს ჩვეულებრივი ანორექსია კი არ არის, ყველა ექიმი ამბობს, რომ ეს სრულიად სხვა რამეა.

***– და რა არის?***

– ამას თან დაერთო ნეიროპათია და ანორექსია, მის თანმდევ დაავადებასთან ერთად. ეს შეიძლება აღმოჩნდეს სავალალო და დამთავრდეს სიკვდილით! ახლა ამისი გაანალიზების უნარი არ მგონია, რომ არ ჰქონდეთ და მაშინ რა დარჩა?

***– საქართველოში არ მოხერხდება მისი მკურნალობა? რატომ ითხოვენ ასე დაჟინებით ქვეყნიდან გაყვანას?***

– არ კი არა, ვერ. ჩემს ახლობელს სჭირს ეს დაავადება, არ დავასახელებ ვინ არის, რადგან არ ვიცი, ესიამოვნება თუ არა. საკმაოდ კარგად ვიცნობ ამ დაავადებას, ჩემს უახლოეს ადამიანს ჰქონდა, რომელიც მგრძნობელობას აკარგვინებს და ვერ მკურნალობენ. აი ამ ნივთიერებების ნაკლებობის გამო, ძალიან მალე ვითარდება ინსულტი. ექიმი არ ვარ, მაგრამ ვიცი, ორგანიზმს რომ მოაკლდება გარკვეული ნივთიერებები, მერე ვერ ხდება მისი შევსება. არ კი არა, ვერ ხდება. სწორედ ამ ანორექსიის გამო. უცხოეთშიც სულ რამდენიმე კლინიკაში ხდება მკურნალობა და დიდ გარანტიებს იქაც ვერ გაძლევენ.

***– იუსტიციის სამინისტროში აცხადებენ, რომ დღეის მდგომარეობით, სააკაშვილის ანალიზები სრულიად დამაკმაყოფილებელია. უნდობლობას უცხადებთ?***

– სახელმწიფოს ტრაგედია რა არის? რომ ავადმყოფის ანალიზებზე საუბრობს იუსტიციის სამინისტრო. ავადმყოფის ანალიზებზე უნდა ისაუბრონ ექიმებმა. ეს ხომ რუსული მართვის სტილია. ეს ხდებოდა 37 წელში. შეიქმნებოდა ჩეკისტების კომისია და ისინი საუბრობდნენ ამა თუ იმ პიროვნების ავადმყოფობაზე. ექიმებმა უნდა ისაუბრონ ამაზე. ვინ არის იუსტიციის მინისტრი?! ან თუნდაც მე. ეს რა ჩვენი საქმეა, ეს არის ექიმების საქმე. ექიმები კი ამბობენ, რომ შეიძლება შემოგვაკვდესო. აი მტერს და ავს! ვისაც არ სჯერა, მათ საყურადღებოდ ვამბობ. პირადად მე, ბოლო პერიოდია ამ საკითხით ვარ დაკავებული. ვხვდები ელჩებს, დასავლელ პარტნიორებს და ვაწვდი



ინფორმაციას. არ დამიტოვებია არც ერთი ელჩი. აბსოლუტურად ყველა საქმის კურსშია და ყველა დაინტერესებულია იმაში, რომ ეს ადამიანი გაიყვანონ.

***– იმ ფონზე, როდესაც თქვენ ასე აქტიურობთ, ძალიან ბევრი კითხვის ნიშანი ისმის მის პარტიასთან დაკავშირებით. პარტია, რომლის რეიტინგიც სააკაშვილზე დგას. საუბარია შიდა დაპირისპირებასა და ორმაგ თამაშზე. ამაზე რას იტყვით?***

– მე თქვენ აბსოლუტურად გეთანხმებით. ყველა ხედავს, რომ ძალიან კრიტიკულად გამოვდივარ ხოლმე მათი მისამართით და განაწყენდა კიდეც ნიკა მელია. თუმცა მე ნაკლებად მაინტერესებს ასეთი წყენები. დღეს ჩემი მიზანი არის, რომ საქართველო როგორმე მოხვდეს დასავლური ოჯახის ორბიტაზე. როგორც ერთი მოქალაქე, ვერ გადავიტან სხვა რამეს, მოვკვდები! 5-6 წლის ასაკიდან მესმოდა ეს ყველაფერი. ფოთოლი რომ არ შრიალებდა, ხალხო, თავისუფლების, ჩემს სახლში ჰიმნი იწერებოდა. რომ თავისუფლება არ მოდის ისე, რომ ტყვია მიზანში მოსახვედრია. სხვა შედეგი არ უნდა მივიღოთ, ეს ტრაგედია საქართველოსთვის ვერ წარმომიდგენია. ამიტომ ამ გზაზე, ორმაგი სტანდარტი, რაღაცა ფსევდო ჩემთვის არ არსებობს. ისე გავწევ ყველას და მოვისვრი, რომ სიზმარშიც არ ვნახავ არც ერთს. თვალსაც არ დავახამხამებ. ნინო ბურჯანაძე ჩემი ოჯახის ნათელ-მირონნია. თვალი არ დამიხამხამებია, ისე მოვიშორე. რა პირადი უნდა მქონდეს, გარდა იმისა, რომ ღია ღალატი დავინახე. მან პირდაპირი მნიშვნელობით გაახმოვანა პუტინის სურვილი! მე ნიკა მელიას ღიად ვუთხარი, რომ ეს ბრძოლა არ არის. ეს არის სტაგნაცია, რომელიც კლავს პროცესს.

***– ნაციონალური მოძრაობა რამდენად თამაშობს „ოცნების“ თამაშს? აი ეს კითხვები ჩნდება.***

– მე არა ვარ მათი პარტიის წევრი და ამ დეტალებზე საუბარი არ შემიძლია. მე ვიტყვი იმას, რაც გარედანაც კარგად ჩანს. ახლა გააქტიურდა ცოტა პროცესი. იქ მიშას ყავს თავისი მომხრეები, უმაგრესი ხალხი. არავის დაავიწყდეს, რომ ნაცმოძრაობა და ევროპული საქართველო ერთი მთლიანი პარტია იყო. 2016 წელს გახლიჩა ვინ? ვინ და ბოკერიამ. ეს შემთხვევით ხომ არ გააკეთა. შემდეგ „ძალა ერთობაში“ რომ დავდეთ, 2018 წელს, როდესაც მე ჩავერთე პოლიტიკაში და მე და პაატა ბურჭულაძემ წარვადგინეთ გრიგოლ ვაშაძე და მაშინ გაკეთდა „ძალა ერთობაში“. სწორედ მაშინ გამარჯვება დაიდო და მეორე ტურიც დავდეთ. უზარმაზარი წარმატება ჰქონდა ამ პროექტს. სანამ არ გაგლიჯა ბოკერიამ ეს ერთობა, სანამ ძირი არ გამოუთხარა, არ გაჩერდა. მე ეჭვი მაქვს, რომ ბოკერიას ამაში აყვა ნიკა მელია. არ მინდა ვთქვა, რომ ძალით. ალბათ უფრო ჭკუით მოერია ბოკერია. იმიტომ, რომ სხვა რამე უარესია, რომ ვიფიქრო. უდიდესი შეცდომა იყო, „ძალა ერთობაშია“ რომ დაიშალა. იმასაც ვხედავთ, თუ როგორ ებრძვის ბოკერია გრიგოლ ვაშაძეს. ყველა გამოსვლა მის წინააღმდეგ აქვს. ნეტავ რატომ?!

***– რატომ ქალბატონო თაკო?***

– გეტყვით რატომაც. გრიგოლი შეიძლება წამოვიდა ნაციონალური მოძრაობიდან, მაგრამ მიხეილ სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებით, ძალიან სწორი და კაცური პოზიცია აქვს. პირადად მინახავს, როგორ მუშაობს იმაზე, რომ როგორმე მიხეილ სააკაშვილი გადარჩეს. ბოკერიასგან განსხვავებით, გრიგოლ ვაშაძე ძალიან ღირსეულად იქცევა. ბოკერია და მისი ცოლი წერილებს უწერენ სააკაშვილს, არ გვჯერა, რომ კვდებიო.

***– დღეს ოპოზიცია ძალიან სუსტია. ამაზე ყველა საუბრობს, რომ ასეთი სუსტი ოპოზიცია არ ახსოვს. ანუ ეს იყო ივანიშვილის მიზანი, რომ ოპოზიცია მავანის ხელით დაექსაქსა და დაესუსტებინა?***

– მეც მიფიქრია ამაზე, რა თქმა უნდა, და შედეგით ასე ჩანს, მაგრამ ერთი დეტალია, ჩვენ ხშირად გვავიწყდება ხოლმე, რომ პარტიებზე როცა ვლაპარაკობთ, პარტია არ არის მხოლოდ ლიდერი, პარტია არის ამომრჩეველი. ამომრჩეველი კი ძლიერია და როცა საჭირო აღმოჩნდა, როგორი ზეწოლა გაუკეთა ნიკა მელიას. დღეს ამომრჩეველი თავის ადგილას არის და ამ ამომრჩეველს მალე თქვენ ნახავთ ქუჩაში. მე უკვე მაქვს ეს ინფორმაცია. ხალხი ქუჩაში აუცილებლად გამოვა.

***– დაანონსებულია საპროტესტო აქციები, ანუ ელოდებით ხალხის გამოსვლას?***

– აუცილებლად. სააკაშვილის ამომრჩეველი თავის ადგილას არის და ის ბრძოლას არ შეწყვეტს და ქუჩაში დადგება. ძალიან სუსტი სტრატეგიით წარდგა ამ თვეების განმავლობაში ნიკა მელია. პარტიის მობილიზება სწორედ ლიდერმა უნდა გააკეთოს ქუჩაში, რაც ნიკა მელიამ ვერ გააკეთა. მე ხელისუფლება მერჩისო, ნიკა მელიამ და რა ვიცი აბა, რატომ უნდა ერჩოდეს? უფრო სახარბიელო და კომფორტულ თავმჯდომარეს, ვიდრე ნიკა მელია არის, ვერ ინატრებდა და ვერ ნახავდა „ოცნება“. რატომ? იმიტომ, რომ სტაგნაცია მოიტანა მელიამ. აი ეს არის ფაქტი, რომლის კონსტატაციას ვახდენ მე და მეტი არაფერი.

***– ანუ დაიწყება საპროტესტო აქციები?***

– აუცილებლად დაიწყება და თან ძალიან მალე. ფინანსებზე რომ ვსაუბრობ, ეს ზოგიერთს ყურს ჭრის ხოლმე, მაგრამ მე იმას კი არ ვამბობ, რომ ვინმეს ჯიბეში ფული ჩაუდონ, როგორ გეკადრებათ! ადამიანი იდეის დასაცავად რომ დადგება ქუჩაში, წყალი ხომ უნდა დაალევინო?! ფინანსების მობილიზება კი ეკუთვნის პარტიას. ამხელა ფინანსები შესდის პარტია ნაციონალურ მოძრაობას და გაუგებარია, ფული რატომ არა აქვთ?! ეს ჩემი საქმე არ არის, მე მათი პარტიის წევრი არა ვარ. მე ასეთი რამ ვთქვი, 33 მანდატი ხომ აქვთ, ჩემი მანდატიც დაუმატეთ. ამხელა ხელფასი რომ გაქვს და ასეთი გამოუვალი მდგომარეობა როცაა, 2 ათასი ლარი დადე რა! ეს მარტივი ფინანსები გითხარით, რაც ხელის გულზე ჩანს და დანარჩენი, პარტიაში ამხელა თანხა შესდით და მობილიზება ვერ მოახდინეს? აი აქ უკვე მაქვს უფლება მეც და სხვებსაც, კითხვები დავსვათ. კეთილი ინებოს მელიამ, მშვიდად მიიღოს ეს კითხვები და მისგანაც მშვიდი პასუხები მივიღოთ. და არა ის, რომ მე ხელისუფლება მებრძვის. ხელისუფლება რატომ უნდა ებრძოდეს იმ ტიპის თავმჯდომარეს, რომელიც სტაგნაციაში ამყოფებს პროცესს?! რატომ უნდა ებრძოდეს? პირიქით!

***– დაიდება შედეგი?***

– უნდა დავდოთ. უნდა დავდოთ საკუთარი თავის გამო. არ შეიძლება ჩვენ ვიცხოვროთ იმ სახელმწიფოში, რომელიც გაიძულებს, რომ შენ გახდე დაგეგმილი რუსული მკვლელობის თანამონაწილე. რაღაცებს უნდა ვცეთ პატივი. ჯერ ერთი, პრეზიდენტის ინსტიტუტს უნდა ვცეთ პატივი და, მით უმეტეს, იმ პრეზიდენტს, რომელსაც ლომის წილი აქვს ქართული სახელმწიფოს შენებაში. რაღაცები არის ანგარიშგასაწევი და არ გვეკადრება უბრალოდ, რომ ჩვენ ავყვეთ ხუჭუჭა სოციოპატ კობახიძეს. მან საზოგადოებას გაუბედა სიტყვა ფსიქიატრიული. სწორედ ამის გამო უნდა იყოს ხალხი ქუჩაში! იმ გატაცებული მილიარდის გამო, რომელიც კოვიდის დროს გაიტაცა მთავრობამ. ეს ყველაფერი არის ქართული სახელმწიფოს წინააღმდეგ ნასროლი ტყვია. ამიტომ ერთი კარგი პოლიტიკური სამართებელი და გაკრეჭა საქართველოს მთავრობის ვარცხნილობისა, მე ვფიქრობ, ყველას მოუხდება!

## ვახტანგ მეგრელიშვილი: „თუ „ნაცმოძრაობა“ დაიშლება, სააკაშვილის გათავისუფლებას ბევრი მხარდამჭერი ეყოლება“

„თუ „ნაციონალური მოძრაობა“ დაიშლება, ჩემი აზრით, ძალიან ბევრი მხარდამჭერი ეყოლება მიხეილ სააკაშვილის გათავისუფლების პროცესს“.

ამის შესახებ პარტია „გირჩის“ წევრმა ვახტანგ მეგრელიშვილმა განაცხადა.

– ვუსმინე გრიგოლ ვაშაძეს და მგონია, რომ ზუსტად იმავე აზრზეა, რაზეც ჩვენ დიდი ხანია ვლაპარაკობთ. ისიც ვერ ხედავს ვერანაირ გამოსავალს დღევანდელი მოცემულობიდან. გადაწყვეტილებები, როგორც ერთი პატიმრისთვის, „ნაციონალური მოძრაობის“ შეცდომაა.

მისი ჩამოსვლიდან დაწყებული ის პროტესტები, მოლოდინები არ გამართლდა. მიხეილ სააკაშვილმა გააკეთა არჩევანი, მისი არჩევანი უნდა იყოს, ის მართლა უკრაინელი პოლიტიკოსია თუ ქართველი.

თუ „ნაციონალური მოძრაობა“ დაიშლება, ჩემი აზრით, ძალიან ბევრი მხარდამჭერი ეყოლება მიხეილ სააკაშვილის განთავისუფლების პროცესს, მათ შორის, ჩვენც ვიქნებით ასეთები და შეიძლება, აქციაზეც გავიდეთ, – აღნიშნა მეგრელიშვილმა.



# „ხალხი ქუჩაში არ გამოვა, სანამ ოპოზიცია ბიძინას ოფისშია გაჭედილი“

## ლაშა ჩხარტიშვილი: „დღეს, ამ რეჟიმის დამარცხება ივანიშვილის პარლამენტში მარტო დატოვებაზე გადის“

ნათია ხურცილავა

**„ლეიბორისტული პარტიის“ ერთ-ერთი ლიდერი ლაშა ჩხარტიშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.**

***– ლაშა, დეპუტატმა ნინო წილოსანმა განაცხადა, თუ არ ჩავთვლით ოკუპაციას, უკრაინის ხელისუფლების მხრიდან უფრო მეტ შეურაცხყოფას განიცდის საქართველო, ვიდრე პუტინისგან. როგორ ფიქრობთ, ეს არის მისი განცხადება თუ „ქართულ ოცნებაშიც“ შეიძლება ასე ფიქრობენ?***

– საქართველოს დღეს ღიად და დაუფარავდა პრორუსული ხელისუფლება მართავს. ამ ადამიანებისთვის ოკუპაციაც, ქვეყნის მომავალიც ბევრად უფრო ნაკლები პრობლემაა ან საერთოდ არ არის პრობლემა, მთავარია, როგორმე, ნებისმიერ ფასად, სკამები შეინარჩუნონ.

რაც შეეხება ბიძინა ივანიშვილს, მისთვის, როგორც ჩანს, უმთავრესი აღმოჩნდა მისი რეპუტაცია და მილიარდები, რომელიც ნებისმიერ ფასად უნდა გადაარჩინოს. ახლა, მის ფულსაც და რეპუტაციასაც საფრთხე ემუქრება. თუ აქამდე მხოლოდ ქართული ოპოზიციის რაღაც ნაწილი საუბრობდა მის სანქცირებაზე, ახლა ამაზე უკრაინის მაღალჩინოსნები ალაპარაკდნენ, რამაც მთლად გააგიჟათ. უკრაინის ხელისუფლების მაღალჩინოსნებზე ზარქუა რომ იტყვის, შემთხვევით მოხვედრილი პოლიტიკოსებიო, საერთოდ რაზე უნდა ილაპარაკო. ამ კონკრეტულ შემთხვევაში კი წილოსანმა, რომელიც თვით „ოცნებაშიც“ კი არ გამოირჩევა მაღალი ინტელექტით, ჭეშმარიტება ილაღადა. ასე ფიქრობენ ისინი. როგორი სათნო და კეთილია რუსეთი და როგორი კაციჭამიაა უკრაინა. ასეთია მათი ჭეშმარიტება. ეს არ იყო მისი მხრიდან წამოცდენა, ეს იყო გააზრებულად, გულწრფელად ნათქვამი, რადგან ის და სხვებიც „ოცნებაში“ ასე ფიქრობენ.



უბედურებაა, როდესაც ასეთი ხალხი მართავს ქვეყანას. წილოსანი არის საქართველოს პარლამენტში, უმრავლესობას წარმოადგენს. მიიღებს კანონებს და მისი მიღებული კანონებით მოუწევს ქვეყანას ცხოვრება. ამ რეალობაში ვართ.

***– არასაპარლამენტო ოპოზიცია – გიგა ბოკერია, ზურაბ ჯაფარიძე ოპოზიციის მიერ პარლამენტის დატოვებაზე საუბრობენ. ბოკერია ამბობს, რომ ივანიშვილის რეჟიმის დამარცხებისთვის საჭიროა „ქართული ოცნების“ პარლამენტში მარტო დატოვება, თუნდაც სატელიტებთან. რამდენად რეალურია?***

– სანამ ბოკერია და ჯაფარიძე ისაუბრებდნენ ამაზე, ჩვენ ამისკენ მოვუწოდებდით საქართველოს პარლამენტად წოდებულ ბიძინას ოფისში გაჭედილ ოპოზიციას, მაგრამ ვინ შეისმინა?! არც არავინ. არაფერი არ გამოვა, არც ვადამდელი არჩევნები და არც არასდროს არ დასრულდება ეს უბედურება თუ ოპოზიცია გონს არ მოეგება. ისევ, ვინმე ხიდაშელს, რომელიც ბიძინა ივანიშვილისა და რუს ოლიგარქ ევტუშენკოვის შუამავალი აღმოჩნდა, მადლიერების ნიშნად გადაუფორმებენ რაჭის ტყეებს. თურმე ივანიშვილის უმცროსი ბიზნესპარტნიორი ქვეყნის წიაღისეულით უნდა დასაჩუქრდეს. ეს ისტორიები არ დასრულდება. ამ საკითხზე უკვე მივმართეთ საკონსტიტუციო სასამართლოს სარჩელით, რადგან კონსტიტუცია დაირღვა.

***– საპარლამენტო ოპოზიცია აცხადებს, რომ ისინი არ დატოვებენ პარლამენტს.***

– მაშინ ეს ყველაფერი უსასრულოდ გაგრძელდება. ძალიან კარგი ლუსტრაცია იქნებოდა ორ მნიშვნელოვან საკითხზე დოკუმენტის შექმნა და შემდეგ თუ ვინ მოაწერს ხელს ამ დოკუმენტს.

***– რა დოკუმენტზე საუბრობთ?***

– პირველი, ვინ არის მზად დატოვოს პარლამენტი და ვინ არა. ეს დოკუმენტურად გაფორმდება, ხელმოწერით და შემდეგ ჩვენ შეგვეძლება ვუთხრათ საზოგადოებას, ვინ არის დღეს ივანიშვილის სატელიტი. მეორე საკითხი კი უნდა შეეხოს ივანიშვილისთვის სანქციის მოთხოვნას, ვინ მოაწერს ხელს ამ დოკუმენტს, ესეც ლუსტრაცია იქნებოდა. რადგან არიან პარტიები, რომლებიც, რამდენადაც ვიცი, ბოლომდე არ არიან ჩამოყალიბებულნი, შეუერთდნენ თუ არა ამ მოთხოვნას. ვილაცებს ეშინიათ. ვილაცები ღიად ან უფრო ფარულად არიან ივანიშვილთან გარიგებაში შესულები. ამიტომ, ახლა მნიშვნელოვანი არის არა გადაძახილ-გადმოძახილი, არამედ მოქმედება. მოქმედება კი იქნებოდა კონკრეტული დოკუმენტის შექმნა.

რაც შეეხება აქციებს, უნდა გითხრათ, რომ ხალხი ქუჩაში არ გამოვა, სანამ ოპოზიცია ბიძინას ოფისშია გაჭედილი. ჯერ გაჭედილები უნდა გამოვიყვანოთ და შემდეგ ირწმუნებს ხალხი, რომ ოპოზიციას მართლაც შეუძლია ახალი მუხტი გააღვიძოს და პროცესებს ჩაუდგეს სათავეში.

დღეს, ამ რეჟიმის დამარცხება, ივანიშვილის პარლამენტში მარტო დატოვებაზე გადის. თუ ამას ვერ შეძლებს ოპოზიცია, არ იქნება არც ვადამდელი არჩევნები და არც არავითარი მრავალპარტიული, კოალიციური მთავრობა. ამიტომ, პირველი რიგის ამოცანა „ოცნების“ მარტო დატოვება უნდა იყოს.

# „დასავლეთს არ აწყობს საქართველოს ომში ჩაბმა“

## მირიან მირიანაშვილი: „ვაშინგტონში ჩასულ ქართველი პოლიტიკოსების დელეგაციებს, იქ დიდი ეჭვით უყურებენ“

მარიამ მჭედლიშვილი

**აქტუალურ პრობლემებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა პოლიტიკური ორგანიზაცია „ერის“ თავმჯდომარეს, ყოფილ დეპუტატს, მირიან მირიანაშვილს.**

***– საქართველოში დაწყებულია სააკაშვილისადმი სოლიდარობის აქციები. 6 მაისს ბათუმის აქციის მონაწილეების ნაწილი დააკავეს. ხელისუფლების ოპონენტების შეფასებით, „ოცნების“ ხელისუფლება პუტინის მეთოდებს იყენებს.***

– დავიწყებ იმით, რომ პრეზიდენტყოფილი სააკაშვილის ოჯახი და გარემოცვა ამტკიცებენ, რომ ის ძალიან მძიმედაა და ფაქტობრივად კვდება. მინდა სააკაშვილს ჯანმრთელობა ვუსურვო. საგულისხმოა, რომ ეს თემა დაახლოებით მეხუთეჯერ წამოჭრეს. ეს ხალხი სხვადასხვა დროს ამბობდა, რომ სააკაშვილი კვდება შიმშილობის, ცუდად მოპყრობის, არასათანადო კვებისა და მოვლის გამო. ეს გრძელდება შვიდი თვის განმავლობაში. ახლა მისი ცუდად გახდომის მორიგი ეტაპია. გასაკვირია სააკაშვილის დასაცავად გამოსული ადამიანების რაოდენობა.

***– აქციების მონაწილეების სიმცირეზე მიანიშნებთ?***

– ცხადია. ასეთ მიტინგებზე იკრიბება ორასი-სამასი კაცი. ერთადერთი ხალხმრავალი აქცია რუსთავის ციხესთან გაიმართა მაშინ, რომ სააკაშვილი ახალი დაპატიმრებული იყო. იმდღევანდელ შეკრებაზე მოგროვდნენ დაინტერესებული პოლიტიკური ჯგუფები, მოსარგებლეები. ალბათ, ეგონათ, რომ სააკაშვილს გაათავისუფლებდნენ. არ მესმის, რატომ არ ჩანან აქციებზე ნაციონალური მოძრაობის ამომრჩევლები და თუნდაც პარტიის წევრები?! პარტია, რომელიც არჩევნებზე, ოფიციალური მონაცემებით, იღებს ასეულ ათას ხმას, აქციებზე ხალხს ვერ კრებს.

***– პრორუსული ჯგუფები საქართველოში ინტენსიურად ამკვიდრებენ აზრს, თითქოს დასავლური კურსი უკავშირდება სააკაშვილის გათავისუფლებას და მეორე ფრონტის გახსნას საქართველოს მონაწილეობით.***

– ეს არის ფანტასტიკამდე დასული აბსურდი და ხალხისთვის გზა-კვალის არევის სურვილი. თქვენ მიერ ნახსენები ჭორების გამავრცელებლების ბოდვებით, სააკაშვილი დასავლეთის გავლენის აგენტია, სარგებლობს დასავლეთის (პირველ რიგში, აშშ-ს) მხარდაჭერით და თითქოს დასავლეთს უნდა მეორე ფრონტის გახსნა საქართველოში. ჯერ ერთი, სააკაშვილი დასავლეთის მხარდაჭერით არ სარგებლობს. მეორეც, დასავლეთს არანაირად არ აწყობს საქართველოს ომში ჩაბმა და დესტაბილიზაცია. ნაცმოძრაობის მონაწილეობით რომ აქამდე საქართველოში რევოლუცია ვერ განხორციელდა, ეს აშშ-ის, პირადად აშშ-ის ელჩის, კელი დეგნანის დამსახურებაა. ვილაცებმა მოიგონეს აბსურდული, მაგრამ მოხერხებული კომბინაცია სააკაშვილსა და დასავლეთზე და ამას იმეორებენ. გარკვეულწილად, იშველიებენ პრემიერ ღარიბაშვილის ფორმულასაც. ღარიბაშვილმა რამდენჯერმე გაიმეორა, რომ სააკაშვილი ჩამოვიდა იმისთვის, რომ მეორე ფრონტი გახსნას. ღარიბაშვილი დასავლეთს არ ახსენებს, მაგრამ მისი მინიშნებებით გამოდის, რომ აქ გარეულია დასავლეთი. ეს რომ რუსული ნარატივია, ამაზე აშშ-ის ელჩმა კელი დეგნანმა მკაფიო განცხადება გააკეთა. თავიდან დეგნანმა მეორე ფრონტის თემაზე სულელურ ბრალდებებს ყურადღება არ მიაქცია, არასერიოზულად ჩათვალა, კარგა ხანს ითმინა, ამ დღეებში კი ამას გამოეხმაურა და თქვა, რომ ეს არის რუსული ნარატივი.

***– რუსეთს აწყობს სიცრუის გავრცელება მეორე ფრონტის თემაზე?***

– დასავლეთი არანაირად არ არის დაინტერესებული იმით, რომ საქართველო ჩაებას ომში რუსეთის წინააღმდეგ. სულ არ სჭირდება რუსეთის გამარჯვება კავკასიაში. სამაგიეროდ, თავად რუსეთია იმის მოსურნე, რომ სადმე მაინც (მაგალითად, საქართველოში) მოიპოვოს გამარჯვება. იმის თქმა, რომ დასავლეთს აწყობს თავდაცვისუუნარო საქართველოს ჩართვა ომში, არის სრული აბდაუბდა. საქართველოს თავდაცვის ბიუჯეტი ყველაზე დაბალია ევრაზიაში. ის ორჯერ ნაკლებია სომხეთის თავდაცვის ბიუჯეტზე და ოთხჯერ ნაკლებია აზერბაიჯანისაზე. უკრაინის თავდაცვის ბიუჯეტი (რომელიც იანვარში, ომამდე დამტკიცდა) 30-ჯერ აღემატება საქართველოს თავდაცვის ბიუჯეტს. საქართველოს თავდაცვის ბიუჯეტი 300 მილიონია. ამ რესურსების მქონე ქვეყანამ რა როლი უნდა ითამაშოს რუსეთის დასუსტებასა და დამარცხებაში, რისთვის უნდა უნდოდეს ეს დასავლეთს, სრულად გაუგებარია.

***– უკრაინის ოფიციალური პირები მოუწოდებენ საქართველოს მეორე ფრონტის გახსნისკენ..***

– დიახ, მაგრამ დასავლეთი აქ არაფერ შუაშია. უკრაინელები, რომლებიც სამკვდრო-სასიცოცხლო ომში არიან რუსეთთან ჩართული, ფიქრობენ, რომ კარგი იქნება სხვისი რესურსების დამატება და რუსეთის ნაწილობრივ სხვაზე გადართვა.

***– წინა ინტერვიუში გვითხარით, რომ დაახლოებით ექვს-რვა თვეში საქართველოში პოლიტიკური რეალობა შეიცვლება. აშშ-ში ვიზიტად მყოფმა გიორგი ვაშაძემ აღნიშნა, რომ საქართველოში გრძელდება რადიკალიზაცია და მოსალოდნელია ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები.***



**„რუსეთს ელის მძიმე მომავალი გაურკვეველი ფინალით“**

– ვადამდელი არჩევნების საკითხი დაკავშირებულია პოზიციასთან რუსეთის მიმართ. საქართველოს ხელისუფლებამ ეს ტესტი ვერ ჩააბარა.

***– რუსეთის საწინააღმდეგო პოზიცია არ დაიკავა?***

– საქართველოს ხელისუფლებამ ვერ გამოხატა მკაფიო პოზიცია, მკვეთრად ვერ დააფიქსირა, თუ რა დამოკიდებულება აქვს ამ სიტუაციაში რუსეთის, მის მიმართ გამოცხადებული სანქციების მიმართ.

***– ხელისუფლება ამბობს, ომში ჩაბმა არ გვინდაო.***

– სანქციებისთვის მკაფიო მიერთება, არ ნიშნავს ომში ჩაბმას. ბოლო 30 წლის განმავლობაში, როცა ომები არ იყო, რუსეთი სხვადასხვა დროს სისტემატურად უწესებდა საქართველოს სანქციებს, ხან ღვინის, ხან მწვანილის, ხან სხვა პროდუქციის დაწუნების საბაბით. რუსეთთან არ გვაქვს საჰაერო მიმოსვლა. სანქციებთან არმიერთებას თავისი ახსნა აქვს. საქართველოს ეკონომიკის 90% რუსეთის იურიდიული და ფიზიკური პირების ხელშია. სანქციები ნიშნავს ამ ობიექტების დაყადაღებას. საქართველოს ხელისუფლებამ ამისგან თავი შეიკავა, ანუ რუსეთის ინტერესი დაიცვა. არადა, ეს იყო შანსი, გაგვეთავისუფლებინა საქართველოს ეკონომიკა რუსეთის სახელმწიფო და კერძო ხვედრითი წილისაგან.

***– თქვენი აზრით, სანქციების გამოცხადება საქართველოს ეკონომიკაში რუსეთის გავლენას შეამცირებდა?***

– საქართველოს ეკონომიკის ძალიან დიდი ნაწილი არის რუსეთის იურიდიული და ფიზიკური პირების ხელში. ხელისუფლება არ იყენებს მისი გამოთავისუფლების შანსს. გამოჩნდა, რომ საქართველოს ხელისუფლება გარიგებულია რუსეთთან. ეს მარტო ჩემი შეფასება არ არის. ეს მდგომარეობა მუდმივად ვერ გაგრძელდება და საქართველო ვერ დარჩება თეთრ ყვავად რუსეთის მოწინააღმდეგე მსოფლიოში.

***– ვადამდელი არჩევნები შესაძლებელია?***

– რუსეთისადმი დამოკიდებულებაზეა მიბმული ეს საკითხი. არანაირი მნიშვნელობა არა აქვს, რას იტყვიან აშშ-ში ჩასული ქართველი პოლიტიკოსები. ვაშინგტონში ჩასული ქართველი პოლიტიკოსების დელეგაციებს იქ დიდი ეჭვით უყურებენ. ჩვენმა პარტნიორებმა მშვენივრად იციან, რომ პოლიტიკურ ველზე გააქტიურებული ყველა პარტია ერთი ცენტრიდან იმართება და მათ შორის ნამდვილი პროდასავლელი არავინაა. ისინი ამერიკაში მოსიარულე ქართველ პოლიტიკოსებს აღიქვამენ მიგზავნილებად. პარტნიორების აზრით, ქართველი პოლიტიკოსები ცდილობენ გამოსტყუონ (ამერიკელებს) გეგმები და მოსაზრებები საქართველოზე, შესაძლო ვადამდელ არჩევნებზე. ასეთი გეგმაც რომ იყოს, ვაშაძისა და სამნიძისთანა ფიგურებს გულს არავინ გადაუშლის.

ამერიკელებს საქართველოში ახალი რეალობის დამკვიდრება სხვა გზით შეუძლიათ. მათ ეს მეთოდი პაკისტანში გამოიყენეს, სადაც პრემიერი შეიცვალა. თუ საჭირო გახდა, ამ მეთოდსაც გამოიყენებენ და შემდეგ ვადამდელი არჩევნებიც გაიმართება. რუსეთის „კრიშის“ ქვეშ მყოფ სხვადასხვა მიმართულების საქართველოს პარტიებს სიხარულის მიზეზი არ უნდა ჰქონდეთ. მათ პატრონ რუსეთს მძიმე მომავალი ელის გაურკვეველი ფინალით.

ჩრდილოეთ კავკასიასთან ბევრი რამ მაკავშირებს ჩემი ალპინისტური წარსულიდან გამომდინარე. ზუსტად ვიცი, რომ იქ მოსკოვის წინააღმდეგ განწყობილი და შეიარაღებული ხალხია. რუსეთი ომიდან რომ გამოვა, დიდი პრობლემები ელოდება ქვეყნის შიგნით (არა მარტო ჩრდილოეთ კავკასიაში). საქართველოსთვის და მართული პარტიებისთვის კრემლს არ ეცლება. ასე რომ, ქართულ პოლიტიკურ სპექტრს ღრმა იმედგაცრუება გარანტირებული აქვს.

# 3 თვეში სამინისტროებმა 3.497 მილიარდი ლარი დახარჯეს

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მიხედვით, მიმდინარე წლის პირველ კვარტალში საქართველოში არსებულმა სამინისტროებმა 3,497 მლრდ ლარი დახარჯეს.

ხარჯვით ნაწილში განსხვავებული სიტუაციაა უშუალოდ სამინისტროებს შორის. მიმდინარე წლის სამ თვეში ყველაზე დიდი მოცულობით თანხა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ დახარჯა, კერძოდ, 1,592 მლრდ ლარი.

სხვა დანარჩენი სამინისტროების ხარჯვითი ნაწილი მიმდინარე წლის 3 თვეში შემდეგნაირად გამოიყურება:

- რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო 406.6 მლნ ლარი;
- თავდაცვის სამინისტრო 350.1 მლნ ლარი;
- შინაგან საქმეთა სამინისტრო 212.7 მლნ ლარი;
- ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო 180.1 მლნ ლარი;
- განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო 396 მლნ ლარი;
- გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო 131.6 მლნ ლარი;
- იუსტიციის სამინისტრო 56.7 მლნ ლარი;
- საგარეო საქმეთა სამინისტრო 46.9 მლნ ლარი;
- კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო 94.7 მლნ ლარი;
- ფინანსთა სამინისტრო 29.7 მლნ ლარი.

# სპეცოპერაციაზე ვარკეთილში ბექა და გიორგი შენგელია დააკავეს

7 მაისს სპეცოპერაცია გაიმართა თბილისში – კრიმინალური პოლიცია და საპატრულო ეკიპაჟები ვარკეთილში შუამთის ქუჩაზე 10 ნომერში იყვნენ მობილიზებული.

ადგილზე მყოფი გიორგი და ბექა შენგელია თავის აფეთქებით იმუქრებოდნენ. აუდიოჩანაწერი თავად გიორგი შენგელიამ გამოუგზავნა „ტვ პირველს".

– კარი როგორც კი გაიხსნება, თავს ავიფეთქებ, ნუ დაღუპავ შენ თავს, ვიცი, რომ ძებნილი ვარ და დასაჭერი ვარ, – მიმართავს ჩანაწერში გიორგი შენგელია სპეცრაზმს.

2-კვირიანი გაუჩინარების შემდეგ სამართალდამცველებმა პოლიციის დევნის მსხვერპლ ახალგაზრდებს მიაკვლიეს. ამ თემაზე სიუჟეტი „შაბათის ეთერმა" წინა კვირას მოამზადა. გიორგი და ბექა შენგელიებს ოჯახები ამ დრომდე უშედეგოდ ეძებდნენ.

– მერამდენე დღეა, 14 აპრილის შემდეგ უშედეგოდ ვეძებ ჩემს ქმარს და დღეს გავიგე შემთხვევით, რომ ამათ მიაგნეს. საქმის კურსში არ მაყენებენ. რაღაც მოხდა ზუგდიდში, პოლიციას არ დაემორჩილნენო. დამირეკა ახლა ჩემი მეგობრის მეგობარმა" – თქვა გიორგი შენგელიას მეუღლე ანა თედიაშვილმა.

ორ კვირაზე მეტხანს ანა თედიაშვილი ქმარს, გიორგი შენგელიას, უშედეგოდ ეძებდა. თედიაშვილი „შაბათის ეთერს" უყვებოდა, რომ გიორგი შენგელიამ ბოლოს 14 აპრილს დაურეკა, უთხრა, რომ პოლიცია მისდევდა და მის მანქანას ესროდა. ქალი ამბობს, რომ სროლა იმდენად ინტენსიური იყო, რომ ხმა ტელეფონში ისმოდა. ქმარმა ცოლს უთხრა, რომ დადევნებისას პოლიციის მანქანა ამოტრიალდა, პოლიციელის ამოტრიალებულ მანქანას კი საპატრულოს რამდენიმე ეკიპაჟი დაეჯახა.

დოკუმენტში, რომელიც „შაბათის ეთერს" ხელში ჩაუვარდა, წერია, რომ პოლიციამ გამოძიება საპატრულო პოლიციის უფროსისათვის სამსახურებრივ უფლებამოსილების წინააღმდეგობის გაწევის ფაქტზე დაიწყო. წინააღმდეგობა მას კი ოპერატიულად ძებნილმა პირებმა, მიხეილ ხარებავამ და ბექა შენგელიამ გაუწიეს, რომლებიც, სავარაუდოდ, თანმხლებ პირებთან ერთად იმყოფებოდნენ.



პოლიციის დადგენილებაში არაფერი წერია, რომ მათ ახალგაზრდებს ესროლეს.

სპეცოპერაციის ფარგლებში 2 პირი, ბექა და გიორგი შენგელიები, დააკავეს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, 7 მაისს თბილისში სპეცოპერაციისას დაკავებულ ერთ პირს ბრალად თბილისი-სენაკი-ლესელიძის ავტომაგისტრალზე პოლიციელის ავტომანქანაზე განზრახ დაჯახება, ხოლო მეორეს – დანაშაულის შეუტყობინებლობა ედება.

უწყების ინფორმაციით, ამავე სისხლის სამართლის საქმეზე უკვე დაკავებულია კიდევ ერთი ადამიანი, რომელსაც ასევე დანაშაულის შეუტყობინებლობას ედავებიან.

„შინაგან საქმეთა სამინისტროს მცხეთა-მთიანეთის პოლიციის და თბილისის პოლიციის დეპარტამენტების თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული ოპერატიული და საგამოძიებო მოქმედებების საფუძველზე, 1991 წელს დაბადებული გ.შ. და 1997 წელს დაბადებული ბ.შ. თბილისში, შუამთის ქუჩაზე, საპოლიციო ღონისძიების შედეგად დააკავეს.

გამოძიებით დადგინდა, რომ მართვის უფლების არმქონე ბ.შ. მიმდინარე წლის 15 აპრილს, თბილისი-სენაკი-ლესელიძის ავტომაგისტრალის 39-ე კილომეტრზე, „ტოიოტას" მარკის ავტომობილით, განზრახ შეეჯახა პოლიციელის ავტომანქანას და შემთხვევის ადგილიდან თანმხლებ პირებთან – გ.შ.-სთან და მ.ხ.-სთან ერთად მიიმალა.

ავტოსაგზაო შემთხვევის დროს, საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის მცხეთა-მთიანეთის მთავარი სამმართველოს სახაზო სამმართველოს უფროსმა – დავით მიქიაშვილმა ჯანმრთელობის დაზიანება მიიღო.

სამართალდამცველებმა, ჩატარებული საპოლიციო ღონისძიების შედეგად, პოლიციელზე თავდასხმის ბრალდებით, ბ.შ. შუამთის ქუჩაზე, ერთ-ერთ საცხოვრებელ კორპუსში მდებარე ბინაში დააკავეს. მასთან ერთად, ასევე დაკავებულია გ.შ., რომელსაც ბრალად დანაშაულის შეუტყობინებლობა ედება.

ამავე სისხლის სამართლის საქმის გამოძიების ფარგლებში, პოლიციამ 5 მაისს მ.ხ. დანაშაულის შეუტყობინებლობის ბრალდებით ზუგდიდში დააკავა.

მომხდარ ფაქტზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 353-ე პრიმა და 376-ე მუხლებით მიმდინარეობს" – ნათქვამია ინფორმაციაში.



## „ყელზე აქვს დიდი ჭრილობა"

### ასპინძაში მამაკაცი მოკლეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს სამცხე-ჯავახეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა განზრახ მკვლელობის ბრალდებით 1986 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი ა.ნ. დაბა ასპინძაში დააკავეს.

5 მაისს, დაახლოებით 20:00 საათზე, ასპინძის სამედიცინო დაწესებულებაში ახალგაზრდა მამაკაცი გარდაცვლილი შეიყვანეს. კლინიკის ხელმძღვანელის განმარტებით, 35 წლამდე კაცს ყელის არეში დიდი ჭრილობა აქვს.

– ჩვენთან გვამი შემოიყვანეს. რა მოხდა, არ ვიცი. ყელზე აქვს დიდი ჭრილობა. რამდენადაც ვიცი, გამვლელმა პირებმა მოიყვანეს. არ ვიცით ვინაობა, – უთხრა „სამხრეთის კარიბჭეს" კლინიკის ხელმძღვანელმა მანანა ცინაძემ.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, დანაშაული 7-დან 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

„გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა მიმდინარე წლის 5 მაისს, დაბა ასპინძაში, ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე ცივი იარაღით კისრის არეში ჭრილობა მიაყენა თანასოფლელს, 1986 წელს დაბადებულ ი.მ.-ს, რომელიც შემთხვევის ადგილზე გარდაიცვალა.

სამართალდამცველებმა ბრალდებული ა.ნ. მომხდარიდან მალევე, შემთხვევის ადგილთან ახლოს დააკავეს. პოლიციამ დანაშაულის ჩადენის იარაღი – დანა ნივთმტკიცების სახით ამოიღო. განზრახ მკვლელობის ფაქტზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით მიმდინარეობს" – ნათქვამია ინფორმაციაში.

## ბათუმში საპროტესტო აქციაზე 25 პირი დააკავეს

ბათუმში, აჭარის მთავრობის სახლთან მიმდინარე საპროტესტო აქციაზე, სამართალდამცველებმა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე და 166-ე მუხლების საფუძველზე, 25 პირი დააკავეს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, დაკავებულთაგან 2 პირი ხელწერილის საფუძველზე გათავისუფლდა, ხოლო სხვა დაკავებულები დროებითი მოთავსების იზოლატორში არიან გადაყვანილი.

„ბათუმის ქუჩებში 6 მაისს საღამოს დაწყებულ აქციაზე პოლიციამ შეკრებილთა უფლებებისა და საზოგადოებრივი წესრიგის უსაფრთხოების დაცვის მიზნით ყველა საჭირო ღონისძიება განახორციელა.

სამართალდამცველებმა უსაფრთხოების ზომების მაქსიმალური დაცვით უზრუნველყვეს აქციის მონაწილეთა მსვლელობა.

მოგვიანებით, აქციის მონაწილეებმა აჭარის მთავრობის სახლის წინ გაშალეს კარვები და გამოიწვიეს გზის სავალი ნაწილის ხელოვნურად ბლოკირება.

კანონმდებლობის სრული დაცვით შეკრებილი ხალხის რაოდენობიდან გამომდინარე, პოლიციამ ბათუმის ქუჩებში შეზღუდა საგზაო მოძრაობა, ხოლო როდესაც აქციის მონაწილეთა რაოდენობა შემცირდა, აღარ იყო აუცილებლობა გზის გადაკეტვის. პოლიციამ უზრუნველყო საზოგადოებრივი წესრიგის და საგზაო მოძრაობის აღდგენა.

პოლიციის მხრიდან არაერთი მოწოდებისა და გაფრთხილების მიუხედავად, აქციის მონაწილეები არ დაემორჩილნენ შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლების კანონიერ მოთხოვნას გაეთავისუფლებინათ გზა, განაგრძეს მართლსაწინააღმდეგო ქმედება, რის შემდეგაც მოხდა მათი დაკავება.

დაკავებულთაგან 2 პირი ხელწერილის საფუძველზე გათავისუფლდა, ხოლო სხვა დაკავებულები დროებითი მოთავსების იზოლატორში არიან გადაყვანილი" – აღნიშნავენ უწყებაში.

## წყნეთში ავტობუსი მანქანას დაეჯახა

### 1 ადამიანი დაიღუპა

6 მაისს ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა წყნეთი-თბილისის გზაზე, რასაც ერთი ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა.

არსებული ინფორმაციით, ერთმანეთს ავტობუსი და მსუბუქი ავტომანქანა შეეჯახნენ.

როგორც „ინტერპრესნიუსს" შინაგან საქმეთა სამინისტროში განუცხადეს, გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის მე-6 ნაწილით მიმდინარეობს, რაც ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების, ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას გულისხმობს, რამაც ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია.

## გურიაში 5 შვილის მამა დაიღუპა

### მანქანა ტრაქტორს შეეჯახა

7 მაისს, ღამის 2 საათზე ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა სოფელ დვაბზუში. მსუბუქი



ავტომობილი ტრაქტორს შეეჯახა, რომელიც გზის სარეაბილიტაციო სამუშაოებს ასრულებდა და უკვე თვეებია გზის აღნიშნულ მონაკვეთზე დგას.

ავტოავარიის შედეგად დაიღუპა ხუთი შვილის მამა, რომელიც ოზურგეთში, გრიბოედოვის ქუჩაზე ცხოვრობს.

ავტოსაგზაო შემთხვევის შემდეგ მამაკაცი ოზურგეთის კლინიკაში მრავლობითი (თავის, გულ-მკერდისა და მუცლის არეში) დაზიანებით გადაიყვანეს. ჩაუტარდა სასწრაფო ოპერაცია, თუმცა სიცოცხლისათვის შეუთავსებელი ტრავმების გამო მამაკაცი გარდაიცვალა.

## „ფოტოს გადაღებას აპირებდა"

### ფასანაურთან არაგვში ტურისტი ქალი დაიღუპა



7 მაისს ტრაგედია მოხდა ფასანაურში – ჯომარდობის დროს 1 ტურისტი დაიღუპა, 7 წლის ბავშვის სიცოცხლის გადასარჩენად კი ექიმები იბრძვიან.

სამძებრო-სამაშველო ოპერაცია ადიდებულ მდინარე არაგვში რამდენიმე საათის განმავლობაში გრძელდებოდა.

არსებული ინფორმაციით, ტურისტები ინდოეთიდან საქართველოს დასათვალიერებლად რამდენიმე დღის წინ ჩამოვიდნენ.

დაღუპულია 23 წლის ქალი, რომლის ცხედარსაც მაშველები მდინარეში რამდენიმე საათი ეძებდნენ. თვითმხილველების თქმით, ერთ-ერთი ტურისტი ნავში ფოტოს გადასაღებად ფეხზე ადგა, რის შემდეგაც ნავი გადაბრუნდა და ოთხი ადამიანი წყალში გადავარდა. სწორედ მათ შორის იყო მცირეწლოვანი ბავშვიც. პოლიციამ ინსტრუქტორი დაკითხა.

## „სამი დღე ეძებდნენ"

### ნიკა იაშვილი თურქეთის სასტუმროში გარდაცვლილი იპოვეს

5 მაისს, ქალაქ ბურსას ერთ-ერთ სასტუმროში ნაპოვნი გარდაცვლილი ახალგაზრდა, 23 წლის ნიკა იაშვილია.

როგორც „პრაიმტაიმს" გარდაცვლილის მეგობარი უყვება, გაუჩინარებულ ახალგაზრდას სამი დღის განმავლობაში ეძებდნენ.

– ნიკა ძალიან კარგი ადამიანი იყო. მშრომელი და ღიმილიანი ბიჭი, წლების წინ გავიცანი. ჩვენ ანტალიაში ერთ ოჯახში ვმუშაობდით. როგორც გავიგე, რამდენიმე დღის წინ ხელფასი აუღია. ოჯახისთვის უთქვამს, ორი დღე დავისვენებ და დავბრუნდებიო. ქალაქ ბურსაში წასულა. მესამე დღე რომ გავიდა და ნიკა ოჯახში არ დაბრუნდა, ძებნა დაიწყეს. იქიდან გამომდინარე, რომ თურქი ოჯახი ნიკას მშობლებსა და ახლობლებს არ იცნობდა, მე დამიკავშირდნენ და მთხოვეს, მისი ოჯახის მოძიებაში დავხმარებოდი. სამწუხაროდ, არც მე ვიცნობდი ნიკას ახლობლებს.

„პრაიმტაიმმა" დაწერა ინფორმაცია ბურსაში გარდაცვლილი ახალგაზრდის შესახებ და ასე გაიგო მისმა ოჯახმა. ნიკას გადმოასვენებენ საქართველოში, როგორც ვიცი, მის ოჯახს საქართველოს საელჩო ეხმარება.

ნიკას ჰყავს მშობლები და ერთი და. დედა სტამბოლში მუშაობს, მამა და და ბათუმში ცხოვრობენ. ძალიან დიდი ტკივილია ასეთი კარგი ახალგაზრდის ამ ქვეყნიდან უდროოდ წასვლა. გული მწყდება, რომ ის ჩვენს გვერდით აღარ იქნება. ვუსამძიმრებ ოჯახს□– ნიკა, შენ ყოველთვის ჩემს გულში იქნები, – ამბობს ნიკას მეგობარი.

შეგახსენებთ, 5 მაისს, ქალაქ ბურსაში ნიკა იაშვილის ცხედარი, სასტუმროს ნომერში იპოვეს. ამ ეტაპზე უცნობია გარდაცვალების მიზეზი.

ცხედარს პროზექტურაში ექსპერტიზა 5 მაისს ჩაუტარდა.

## ზუგდიდში კაცმა ორი მეზობელი დაჭრა

ზუგდიდის მუნიციპალიტეტ სოფელ ალერტკარში 36 წლის პირმა ვ.შ.-მ ორი მეზობელი დანით დაჭრა. ამის შესახებ ინფორმაციას ერთ-ერთი დაჭრილის შვილი ავრცელებს, რომელიც ემიგრაციაში იმყოფება.

– მეზობლები მდგარან და საუბრობდნენ, ეს მისულა, ჩემზე საუბრობთო და მამა დაჭრა ქვედა კიდურების არეში. საავადმყოფოში გადავიყვანეთ. მეორე მეზობელი მსუბუქადაა და არ წავიდა ჰოსპიტალში, ექიმებმა გვითხრეს, მამა დარჩება ჰოსპიტალშიო, – ამბობს „პრაიმტაიმთან" ერთ-ერთი დაჭრილის შვილი.

დაჭრილი მამაკაცის სახლში პოლიცია იმყოფებოდა. სამართალდამცველები იმყოფებოდნენ იმ კაცის სახლშიც, რომელმაც მეზობელი დაჭრა.

## თბილისის აეროპორტსა და ყაზბეგში არადეკლარირებული თანხა გამოავლინეს

ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ინფორმაციით, მებაჟე ოფიცრებმა საბაჟო გამშვებ პუნქტებში „თბილისის აეროპორტი" და „ყაზბეგი" დიდი ოდენობით არადეკლარირებული თანხა გამოავლინეს. მათივე ცნობით, მებაჟე ოფიცრებმა ეჭვის საფუძველზე, ისრაელის მოქალაქის ჰ.ჰ.-ს კუთვნილი ავტომანქანის და რუსეთის ფედერაციის მოქალაქის ა.მ.-ს ფიზიკური დათვალიერების შედეგად, არადეკლარირებული თანხა, 45.000 აშშ დოლარი და 3.500.000 რუსული რუბლი გამოავლინეს.

„არადეკლარირებული თანხის საერთო რაოდენობამ, ეროვნული ბანკის გაცვლითი კურსის მიხედვით, ჯამში, 286.865,7 ლარი შეადგინა.

საქართველოს საბაჟო კოდექსის 169-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, კანონდამრღვევ მოქალაქეებს, სანქციის სახით, ფულადი ჯარიმა, საერთო ჯამში, (არადეკლარირებული თანხის 10%-ის ოდენობით) 28.686,65 ლარი შეეფარდა" – აღნიშნულია ინფორმაციაში.

## ლანჩხუთში ავარიაში 24 წლის მამაკაცი დაიღუპა

ლანჩხუთში, სოფელ ჩიბათში ავტოსაგზაო შემთხვევას 24 წლის ახალგაზრდა ემსხვერპლა.

სავარაუდოდ, მძღოლმა საჭე ვერ დაიმორჩილა, წვიმიანი ამინდის და სველი ასფალტის გამო, გზიდან გადავარდა და შემთხვევის ადგილზევე დაიღუპა.

საავტომობილო ავარია სოფელ ჩიბათში 7 მაისს, დილით მოხდა.

## ლუგანსკის ოლქში სკოლის დაბომბვას 60 ადამიანი შეეწირა



უკრაინის სოფელ ბელოგოროვკაში, რუსი სამხედროების მიერ სკოლის დაბომბვის შემდეგ ორი ადამიანის ცხედარი იპოვეს, ხოლო ნანგრევების ქვეშ 60 ადამიანია ჩარჩენილი, რომლებზეც შიშობენ, რომ დაღუპულები არიან.

ამის შესახებ ლუგანსკის ოლქის გუბერნატორმა სერგი გაიდაიმ განაცხადა.

მისივე თქმით, რუსეთმა შაბათს, შუადღისას იერიში მიიტანა სკოლაზე, რომელსაც დაახლოებით 90 ადამიანი აფარებდა თავს.

რუსულმა დაბომბვამ ხანძარი გამოიწვია, რომელმაც მთელი შენობა მოიცვა. ოცდაათი ადამიანის გადარჩენა მოხერხდა.

– ცეცხლი თითქმის ოთხი საათის შემდეგ ჩააქრეს, შემდეგ ნანგრევები გაიწმინდა და, სამწუხაროდ, ორი ადამიანის ცხედარი იპოვეს. სამოცი ადამიანი, სავარაუდოდ, შენობების ნანგრევების ქვეშ დაიღუპა, – დაწერა გაიდაიმ „ტელეგრამის" საკუთარ არხზე.

გარდა ამისა, გაიდაიმ დასძინა, რომ წინასწარი ინფორმაციით, სოფელ შიპილოვოში რუსული დაბომბვის შედეგად სახლი დაინგრა, რის შედეგადაც 11 ადამიანი შენობის ნანგრევებში მოყვა.

## ელისეის სასახლეში მაკრონის ინაუგურაცია გაიმართა



ელისეის სასახლეში საფრანგეთის პრეზიდენტის, ემანუელ მაკრონის ინაუგურაციის ცერემონია გაიმართა.

სიტყვით გამოსვლისას მან ისაუბრა ინოვაციების აუცილებლობაზე მსოფლიოსა და საფრანგეთისთვის უპრეცედენტო გამოწვევების დროს და თქვა, რომ მისი მეორე ვადა იქნება „ახალი" და არა უბრალოდ პირველის გაგრძელება.

– ჩვენ ერთად უნდა გამოვიგონოთ ახალი მეთოდი, ტრადიციებისა და რუტინისგან განსხვავებული, რომლითაც შევძლებთ შევქმნათ ახალი პროდუქტიული, სოციალური და ეკოლოგიური კონტრაქტი, – აღნიშნა მაკრონმა.

პრეზიდენტმა ყურადღება გაამახვილა იმ საფრთხეზე, რასაც რუსეთის უკრაინაში შეჭრა ქმნის, ასევე გარემოს დაცვასთან დაკავშირებულ პრობლემებზე.

მან ხაზი გაუსვა, რომ საფრანგეთმა უნდა „იმოქმედოს იმისათვის, რომ თავიდან აიცილოს" ამ კონფლიქტში რაიმე სახის ესკალაცია და პირობა დადო, რომ „ხელს შეუწყობს დემოკრატიისა და სიმამაცის" გამარჯვებას.

ინაუგურაციის ცერემონიალს 500-მდე სტუმარი ესწრებოდა, მათ შორის საფრანგეთის ყოფილი პრეზიდენტები ფრანსუა ოლანდი და ნიკოლა სარკოზი, ყოფილი პრემიერ-მინისტრები ედუარ ფილიპი, მანუელ ვალსი, ალენ ჟუპე და ჟან-პიერ რაფარინი, ასევე, რელიგიური ლიდერები და სხვა სახელმწიფო მოღვაწეები.

## ზელენსკის ცნობილი ქურთუკი აუქციონზე გაიყიდა



ლონდონში, უკრაინის საჭიროებისთვის თანხების მოსაზიდად აუქციონზე, პრეზიდენტის ვოლოდიმირ ზელენსკის ცნობილი ქურთუკი გაიყიდა.

ამის შესახებ უკრაინული მედია წერს.

ლოტი 90 ათასი გირვანქა სტერლინგად გავიდა. საწყისი ფასი 50 ათასი ფუნტი სტერლინგი იყო.

ვაჭრობის დაწყებამდე ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა ბორის ჯონსონმა ისაუბრა. მან აუქციონის მონაწილეებს მოუწოდა, არ ყოფილიყვნენ ხარბები.

აუქციონზე ისაუბრა ვოლოდიმირ ზელენსკიმაც. მან შეაქო დიდი ბრიტანეთი და „მამაცი ბორისი", რომელიც მანამდე უკრაინაშიც იმყოფებოდა.

## თეთრ სახლს ახალი პრესსპიკერი ჰყავს

თეთრი სახლის ახალი პრესსპიკერი კარინ ჟან-პიერი იქნება. ეს არის პირველი შემთხვევა, როდესაც თეთრის სახლის პრესსპიკერი ლგბტქ თემის წარმომადგენელი იქნება.

კარინ ჟან-პიერი 44 წლისაა. ის ობამას ადმინისტრაციის წევრიც იყო. თეთრ სახლში მისვლამდე ის ვიცე-პრეზიდენტ კამალა ჰარისის ოფისს ხელმძღვანელობდა.

კარინ ჟან-პიერი კარიბის ზღვის კუნძულ მარტინიკზეა დაბადებული.

კარინ ჟან-პიერი ენ ფსაკის შეცვლის, რომელიც ტელეკომპანია „ემესენბისზე" გადადის სამუშაოდ.

## ბუჩაში დამპყრობლებმა მომწამვლელი ნივთიერება დატოვეს

კიევის რეგიონის ქალაქ ბუჩაში დამპყრობლებმა ერთ-ერთ სახლში მომწამვლელი ნივთიერება – ვერცხლისწყალი დატოვეს.

ამის შესახებ უკრაინული მედია წერს.

კოლბის რადიაციული ფონი, რომელშიც ნივთიერება იყო მოთავსებული, გაიზარდა. ასე რომ, არსებობს ვარაუდი, რომ იგი ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურიდან იყო ჩამოტანილი, ნათქვამია მოხალისე ბუჩის ფეისბუქ გვერდზე.

მათივე ინფორმაციით, ნივთიერება უკვე ამოღებულია და გადატანილია სხვა ადგილზე.

„სახლში დაბრუნებულმა ბუჩას ადგილობრივმა მცხოვრებმა აღმოაჩინა, რომ ოკუპაციის დროს იქ რუსი დამპყრობლები იმყოფებოდნენ. ოპერატიულ ცხელ ხაზზე გამოძახებისას მესაზღვრეებმა აღმოაჩინეს ლაბორატორიული კოლბა გაუგებარი ნივთიერებით. ექსპერტიზის ჩატარების შემდეგ აღმოჩნდა, რომ ეს მომწამვლელი ნივთიერება ვერცხლისწყალია" – ნათქვამია განცხადებაში.

რატომ დატოვეს მტრებმა საწამლავი საცხოვრებელში, ჯერჯერობით უცნობია.

## რუსულმა ძალებმა სამაგიერო გადაუხადეს რუსულენოვან უკრაინელებს

– რეალურად, რუსულმა ძალებმა სამაგიერო გადაუხადეს და ახლაც უხდიან რუსულენოვან უკრაინელებს, რომლებიც მათ ყვავილებით არ შეხვდნენ, როგორც ამაზე რუსები ოცნებობდნენ და როგორც ეს მოხდა ზოგიერთ ადგილას 2014 წელს.

ამის შესახებ უკრაინის თავდაცვის მინისტრმა ალექსეი რეზნიკოვმა განაცხადა.

მისი თქმით, რუსეთის მთავარი შეცდომა უპირატესად რუსულენოვანი ქალაქების განადგურება იყო, როგორებიც ვონოვახა, ხარკოვი და მარიუპოლია.

– არ დავნებდებით ბრძოლის გარეშე, განაცხადა ახლა უკრაინამ და არც ნებდება. ამიტომ ხორციელდება ამდენი სარაკეტო, საარტილერიო თავდასხმა მშვიდობიან ქალაქებზე, სადაც უმრავლესობას რუსულენოვანი მოსახლეობა შეადგენს, – განაცხადა რეზნიკოვმა.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

## შავი ლომი ევროპის სუპერ თასის მფლობელია

პირველმა ქართულმა ფრენჩაიზმა, დაარსებიდან 10 თვის თავზე პირველი თასი მოიგო. შავმა ლომმა რაგბის ევროპის სუპერ თასის პირველი გათამაშების ფინალში პორტუგალიური ლუზიტანუში 17:14 დაამარცხა.

ტურნირი წელს პირველად ტარდებოდა და ფინალამდე პორტუგალიურმა ფრენჩაიზმა, რომელიც ამ ქვეყნის ნაკრების საბაზო გუნდია, ყველა (7) თამაში მოიგო, რითაც ფინალის მასპინძლობის უფლება მოიპოვა. გადამწყვეტი შეხვედრა დაძაბული გამოდგა, შავმა ლომმა ნაკლები შეცდომა დაუშვა და საბოლოოდ საქმე გამარჯვებამდე მიიყვანა.

ჩვენმა გუნდმა თამაში აქტიურად დაიწყო, აგრესიული დაცვით მეტოქეს შეცდომები დააშვებინა, მერე დერეფნიდან მოლი ააგორა, რაქიდან ლუკა ივანიშვილმა სწრაფად შეუტია და ლელოთი ანგარიში გახსნა, ხოლო გიორგი ბაბუნაშვილმა გარდასახა. მასპინძლებმა სწრაფი შეტევით გვიპასუხეს, ბურთი ფრთაზე გაიტანეს და ლელო გაქვითეს. შავ ლომს, რომელიც ძალისმიერ თამაშში უპირატესობას ფლობდა, იქვე ჰქონდა მეორე ლელოს გატანის შანსი, მოლით 8-10 მეტრი დაფარა, მაგრამ მეტოქემ დამიწების საშუალება არ მოგვცა. სამაგიეროდ, პორტუგალიელებმა 26-ე წუთზე ჯარიმა გაიტანეს და 8:7 დაწინაურდნენ. ბაბუნაშვილს ჯარიმითვე შეეძლო უპირატესობის დაბრუნება, მაგრამ დარტყმა გაუცუდდა.

მე-2 ტაიმის დასაწყისში ლუზიტანუშმა ჯარიმით უპირატესობა გაზარდა, მაგრამ შერკინებაში ხშირი ჯარიმების გამო, მოედანზე 10 წუთით კაცნაკლული დარჩა და ქართველებმა რიცხობრივი უპირატესობით ისარგებლეს – 5-მეტრიანი შერკინების შემდეგ მერაბ შარიქაძემ შეუტია, რაქიდან ბურთი თენგიზ პერანიძემ სწრაფად გაიტანა და ლელო დაამიწა, ბაბუნაშვილმა კი, გარდასახა – 14:11 შავი ლომის სასარგებლოდ. ბაბუნაშვილს ტაიმის შუაში არეკნი გაუცუდდა, მაგრამ ორიოდე წუთში ჯარიმიდან ზუსტი იყო და ჩვენების უპირატესობა 6 ქულამდე გაზარდა.

65-ე წუთზე პორტუგალიელებმა ჯარიმა სწრაფად გაითამაშეს, გიორგი პერტაიამ 10 მეტრის წესი დაარღვია და სინბინით დაისაჯა, ლუზიტანუშმა ჩამორჩენა ისევ 3 ქულამდე დაიყვანა.

მიუხედავად კაცნაკლულად თამაშისა, შავმა ლომმა შეძლო მეტოქის წნეხში მოქცევა და მართალია ქულების აღება ვერ მოახერხა, მაგრამ ამის საშუალება არც მეტოქეს მისცა და 17:14 მოგებით, სუპერ თასის პირველი გათამაშების გამარჯვებული გახდა.




**ლევან მაისაშვილი:**

– გუნდი ფორსირებულ რეჟიმში შეიქმნა. შავი ლომის მიზანია, რომ ეროვნული ნაკრების ვერტიკალზე გაიზარდოს იმ მოთამაშეთა რაოდენობა, რომლებიც ეროვნული ნაკრების კანდიდატებად მოიაზრებიან. ასევე, საქართველოში მყოფი მორაგბეებისთვის მაქსიმალურად პროფესიონალური გარემოს შექმნა. ამ ყველაფერმა შედეგი მოიტანა და პირველი ტიტულის მოგებით ისტორია დაიწერა. ეს მარტივი არ იყო, რადგან ნებისმიერ გუნდს შესაკრავად დრო სჭირდება. რაგბის კავშირმა, სამწვრთნელო შტაბმა და მოთამაშეებმა მაქსიმუმი გაიღეს, რათა დასახული მიზნისთვის მიგვეღწია და ეს უმნიშვნელოვანესი გამარჯვება მოგვეპოვებინა. ჩემთვის მე-10 ფინალია, რომელიც კაცთა ჩემპიონატებში მოვიგე. ეს გამოცდილება მაძლევს იმის თქმის საფუძველს, რომ ფინალი სპეციფიკით სხვა თამაშებისგან ყოველთვის განსხვავებულია და მისი მოგება იოლი არაა.

პორტუგალიაში ტურისტული სეზონია და მიუხედავად იმისა, რომ მზადება 2 კვირით ადრე დავიწყეთ, მგზავრობის კუთხით პრობლემები შეგვექმნა. პორტუგალიაში გადაჯდომებით, სამ ჯგუფად ჩავედით. გზაში დიდი დრო გავატარეთ, რის გამოც რეაბილიტაცია სრულად ვერ გავიარეთ და ეს გვეტყობოდა. მიუხედავად იმისა, რომ მთელ რიგ კომპონენტებში გვქონდა უპირატესობა, არ იყო მარტივი თამაში. მოწინააღმდეგეს ჩვენზე არანაკლებ სურდა მოგება. პორტუგალიელებს თამაშის თავისებური ხელწერა აქვთ, რასაც ჩვენი ძლიერი მხარეები დავუპირისპირეთ, რამაც საბოლოო ჯამში შედეგი მოიტანა. დაძაბულობა თავისთავად საინტერესოს ხდის თამაშს, შესაძლოა, სანახაობა არ გამოვიდეს, თუმცა ეს ახასიათებს ფინალს. ამ მხრივ ჩვენთვის მნიშვნელოვანი იყო შედეგი და არა სანახაობრივი მხარე.

## სუპერლიგის ოთხეული ბათუმმა და ქუთაისმა შეავსეს




საკალათბურთო სუპერლიგის ნახევარფინალური წყვილები შეიკრა. ოთხეულში აქამდე გასულ ოლიმპსა და თსუ-ს, ბათუმი და ქუთაისი შეუერთდა. რეგიონის ორივე წარმომადგენელმა მეოთხედფინალური სერია მშრალი ანგარიშით – 3:0 მოიგო.

წესით, ყველაზე დაძაბული რეგულარულ ჩემპიონატში 4-5 ადგილებზე გასული გუნდების დაპირისპირება უნდა ყოფილიყო, მაგრამ ბათუმისა და ვერას საფლეიოფო სერია ყველაზე ნაკლებად დაძაბული გამოდგა. მიზეზი ისაა, რომ ვერა პირველ წრეში მოპოვებული ქულების წყალობით გავიდა ფლეი ოფში. მე-2 წრიდან, განსაკუთრებით კი, ფლეი ოფიდან, ძალიან შესუსტებული შემადგენლობით დარჩა.

პირველი წრის შემდეგ ვერელებმა 2 ლეგიონერი დაკარგეს და 10 მატჩში 8 მარცხი განიცადეს. ფლეი ოფის წინ ტრავმის გამო მთავარი ლიდერი, ზაკ სელიასიც გამოაკლდათ და ზღვისპირელებთან უშანსოდ დარჩნენ. სერიის პირველი მატჩი ვერელებმა 20 ქულით წააგეს, მეორე – 22-ით, ხოლო მესამე ისევ 20-ით – 69:89.

ბათუმელებს ნახევარფინალში იოლი გასეირნება აღარ ექნებათ. ის კი არა, ბუბა ბერიშვილის გუნდის მეტოქე ქუთაისია, რომელმაც რეგულარული ჩემპიონატი მოიგო და ნებისმიერ მეტოქესთან ფავორიტად ითვლება.

ქუთაისელებმაც 3 მატჩში მოიპოვეს ნახევარფინალის საგზური. კოტე ტუღუშის გაწვრთნილმა გუნდმა 2 საშინაო მატჩის მოგების შემდეგ რუსთავი ქვემო ქართლშიც დაამარცხა და სერია მშრალი ანგარიშით მოიგო.

რუსთაველებმა სერიის მეორე მატჩში, ქუთაისში დიდი ბრძოლა გაუმართეს იმერულ კლუბს და შეხვედრა ოვერტაიმში დათმეს. საკუთარ კედლებში კი მეტოქესთან ვერაფერი გააწყვეს და 81:97 დამარცხდნენ.

ასე და ამგვარად, ნახევარფინალური წყვილები ცნობილია: რეგიონულ დერბიში ქუთაისი ბათუმს დაუპირისპირდება, ხოლო თბილისში თსუ და ოლიმპი შეერკინებიან.

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

### კალეიდოსკოპი

## 23 წლის მოდელმა რომანი 40 წლით უფროს ბლეკჯეკის მოთამაშესთან გააბა



ამერიკის ჩრდილოეთ კაროლინას შტატის მკვიდრმა 23 წლის მოდელმა უილოუ სიასმა ბლეკჯეკის პროფესიონალი მოთამაშე და სახლების მშენებელი დევიდ სიმონინი ტინდერში გაიცნო, რომელიც მასზე 40 წლით უფროსია და მასთან რომანი გააბა.

მოდელის თქმით, მას და მის 63 წლის ბოიფრენდს ერთმანეთი პირველივე პაემანზე ერთ საათში შეუყვარდათ. ის ამტკიცებს, რომ მათ ბევრი საერთო ინტერესი აქვთ: ორივეს უყვარს წვეულებები და მდიდრული რესტორნები. ახლახან შეყვარებულმა გოგონას 175 ათას დოლარად ღირებული „მერსედესი" უყიდა, თუმცა, ამავე დროს, წყვილი გარშემომყოფთა კრიტიკის ობიექტად იქცა.

გოგონა ყურადღებას არ აქცევს არაკეთილმოსურნეების სიტყვებს და ამბობს, რომ სიმონინი მას უქმნის სტაბილურობასა და უსაფრთხოებას, რომელიც ძალიან სჭირდება.

– ის ყურადღებას აქცევს იმას, რომ ჩემზე იზრუნონ, თავს კომფორტულად ვგრძნობდე და არაფერი მაკლდეს. ეს ყოველივე კი ჩემთვის მეტად მნიშვნელოვანია, – განმარტავს სიასი.

წყვილს მომავალში ოჯახის შექმნის იმედი აქვს და უკვე ბავშვის გაჩენის შესაძლებლობაზეც ჰქონდათ მსჯელობა. აღსანიშნავია, რომ გოგონას მშობლები კმაყოფილი არიან იმით, თუ როგორ ზრუნავს მათ ქალიშვილზე მისი ასაკოვანი შეყვარებული.

## მამაკაცმა შეძენილი მეორადი სამზარეულოს კარადაში ფული იპოვა



გერმანიის მკვიდრმა ნახმარი სამზარეულო გარნიტური ინტერნეტაუქციონზე შეიძინა, მის კარადაში კი მსხვილი თანხა იპოვა და პოლიციას ჩაბარა.

50 წლის სოცმუშაკმა ტომას ჰელერმა ინტერნეტაუქციონზე ნახმარი სამზარეულო გარნიტური შეიძინა. აღნიშნული ავეჯი 300 ევროდ იყიდებოდა, მაგრამ მამაკაცმა მისი 240 ევროდ შეძენა მოახერხა.

შეძენიდან რამდენიმე დღეში მამაკაცმა სამზარეულოს კარადაში ორი კოლოფი აღმოაჩინა. ერთ-ერთი მათგანი გახსნილი იყო და მასში 100– ევროიანი კუპიურები მოჩანდა. საერთო ჯამში, კოლოფებში 150 ათასი ევრო აღმოჩნდა. აშკარა იყო, რომ მისმა მფლობელებმა ფული კარადაში დამალეს და შემდეგ მისი არსებობა დაავიწყდათ.

მამაკაცმა ნაპოვნი ფული კი არ მიისაკუთრა, არამედ პოლიციაში მიიტანა. სამზარეულო გარნიტურის მფლობელის დასადგენად გამოძიება გახდა საჭირო. როგორც გაირკვა, სამზარეულოს ქალაქ ჰალეში მცხოვრები მოხუცი ქვრივი ქალი ყიდდა. 91 წლის ქალბატონი მეუღლის გარდაცვალების შემდეგ მოხუცებულთა სახლში გადაიყვანეს, ხოლო ავეჯის გაყიდვით მისი შვილიშვილი იყო დაკავებული. გერმანიის კანონმდებლობის თანახმად, ნაპოვნი ფულის დატოვება, თუ ის 10 ევროს აღემატება, დაუშვებელია. კანონის დამრღვევს სამ წლამდე პატიმრობა ემუქრება. ვინაიდან ჰელერმა ნაპოვნი ფული პოლიციას საკუთარი ნებით ჩააბარა, მას თანხის სამი პროცენტი ერგება, რაც ამ შემთხვევაში 4,5 ათას ევროს შეადგენს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# ესპანელებმა „მეფე“ მამარდაშვილი მყინვარწვერს შეადარეს

გიორგი მამარდაშვილი ესპანურ პუბლიკას ისევ აგიჟებს, ხოლო ვალენსიელი ფანები მასზე ლოცულობენ. ჩვენებურმა კიდევ ერთი შესანიშნავი მატჩი ჩაატარა ესპანეთის პრიმერა დივიზიონში და ზედიზედ მეორედ „მატჩის მეფედ“ დაასახელეს. ვალენსიამ კი ბილბაოს შეტევებს გაუძლო და მამარდაშვილის წყალობით მატჩი 0:0 დასრულდა.

ბილბაოს „სან მამესზე“ თამაში ყველა გუნდისთვის რთულია, მაგრამ ახალგაზრდა ქართველი მეკარე ავტორიტეტებს არ ცნობს. მამარდაშვილმა 5 ბურთი მოიგერია, აქედან 3 – ძალიან რთული.

მამარდაშვილმა ლა ლიგაში მე-17 მატჩი ჩაატარა. აქედან რვაში გოლი არ გაუშვია, ხოლო „მატჩის მეფე“ მესამედ გახდა. გიორგიმ ვალენსიას მაისურით 17 გოლი გაუშვა, ხოლო 18 მატჩში, როცა კარში გიორგი არ იდგა, ვალენსიას 32 გაუტანეს...

მამარდაშვილი ესპანური მედიის ფურცლებიდან არ ქრება. ერთ-ერთმა ვალენსიურმა გამოცემამ კი, სულაც მყინვარწვერს შეადარა.

– მამარდაშვილი დიადია, როგორც ტაძარი. მისმა თამაშმა ვალენსიას ქულა მოუტანა. გიორგი ისეთივე მაღალია, როგორც მის სამშობლოში, კავკასიონის ქედზე ყაზბეგის მწვერვალი (5 033 მეტრი). კამერები ახალგაზრდა გოლკიპერის დიდებულ თამაშს აფიქსირებდნენ, საფინალო სასტვენის შემდეგ ხაუმე დომენეკმა მიულოცა და გადაეხვია. მისმა სამმა კატისებრმა ნახტომმა ინიაკის გატანის საშუალება არ მისცა. ამ ბიჭმა თავისი ხელობა იცის.

თავად კლუბის ვებგვერდზე კი ჩვენებურის ინტერვიუა, რომელსაც წინ მცირე შესავალი აქვს.

– გიორგი მამარდაშვილი მიმდინარე სეზონში ვალენსიას ერთ-ერთი ყველაზე დიდი სიურპრიზი იყო. ზედიზედ არაერთხელ გახდა გმირი ლა ლიგისა და კოპა დელ რეის მატჩებში. ქართველმა დაიმსახურა ბორდალასის ნდობა. ციფრებით, ის 2021-22 წლების სეზონში „ვალენსიას“ საუკეთესო მეკარეა.

**გიორგი მამარდაშვილი:**

– მობილიზებული ვარ გუნდურ მუშაობაზე. ვალენსიაში მარტო ვცხოვრობ. ქუჩაში უკვე მცნობენ, ფოტოებს და ავტოგრაფებს მთხოვენ... ძალიან მადლობელი ვარ ვალენსიას ყველა გულშემატკივრის თბილი დამოკიდებულებისა და სიყვარულისთვის.

***– მწვრთნელის დიდ ნდობას გრძნობ.***

– ბორდალასი დიდი პროფესიონალია და მის მიმართ დიდი პატივისცემა მაქვს. ძალიან კმაყოფილი ვარ იმ ნდობით, რომელიც მწვრთნელმა გამომიცხადა. მომწონს მასთან მუშაობა. ჩემთვის ეს არის დიდი ნაბიჯი და დიდი გამოწვევა იმისთვის, რისი მიღწევაც მსურს. მე კი გუნდთან ერთად თასის მოგება მსურს. მესმის, რომ ეს ძალიან მნიშვნელოვანია ვალენსიელებისთვის და ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ მიზანს მივაღწიოთ.



***– ვალენსიაში გადმოსვლით დიდი სპორტული ევოლუცია განიცადეთ?***

– ჩვენ ყოველდღიურად ვმუშაობთ, რათა გავაგრძელოთ განვითარება. მინდა გავაგრძელო ზრდა და გუნდს დავეხმარო.

***– ვალენსიაში გადმოსვლა ახალი გამოწვევა იყო?***

– ეს ჩემთვის ძალიან დიდი გამოწვევა იყო. ძალიან მინდა, გავიზარდო, როგორც ფეხბურთელი და ამაზე ბევრს ვმუშაობ. მინდა, მომავალში უკეთესი მეკარე გავხდე და ვისარგებლო იმ შესაძლებლობით, რაც გუნდმა მომცა. მინდა, ისე ვითამაშო, რომ ვალენსიას ისტორიაში ჩემი სახელი ჩავწერო.

ენის შესწავლაც მინდა და ამაზეც ყოველდღიურად ცოტ-ცოტას ვზრუნავ. მართალია, ესპანური ქართულისგან ძალიან განსხვავდება, მაგრამ ვსწავლობ.

***– „მესტალიას“ დამოკიდებულება და ატმოსფერო მოგწონს?***

– ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია იმ სტადიონზე თამაში, სადაც ძალიან დიდ ფეხბურთელებს უთამაშიათ. ნამდვილად ვამჩნევ ხალხის მხარდაჭერას. აქ თამაში ფანტასტიკაა! მეორე მხრივ – დიდი პატივი!

***– თანაგუნდელებისგან თუ გრძნობ ურთიერთდახმარებას და მხარდაჭერას?***

– თანაგუნდელები ძალიან დამეხმარნენ, განსაკუთრებით სილესენი და ოჩოტორენა. როცა აქ მოვედი, ესპანური ლაპარაკი არ ვიცოდი და იესპერთან ინგლისურად ველაპარაკებოდი. ის მართლა ძალიან დამეხმარა.

***– ოჯახი მოშორებით გყავს. მათგან რას გრძნობ?***

– მინდა საჯაროდ მადლობა გადავუხადო იმ მხარდაჭერისთვის, რომელსაც ჩემი ოჯახისგან ვგრძნობ. ისინი ჩემით ძალიან ბედნიერები არიან. ასევე, მადლობა ყველა ქართველს, ვინც ჩემს თამაშებს უყურებს და მხარს მიჭერს!

## შედეგები

### 7 მაისი

**ფეხბურთი**

**ინგლისი. ჩემპიონთა ლიგა**

ბარნლი-ასტონ ვილა ........ 1:3
ბრენტფორდი-საუთჰემპტონი ........ 3:0
კრ.პალასი-უოტფორდი ........ 1:0
ჩელსი-ვულვზი ........ 2:2
ბრაიტონი-მანჩესტერი ........ 4:0
ლივერპული-ტოტენჰემი ........ 1:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ლივერპული | 35 | 25 | 8 | 2 | 87-23 | 83 |
| 2.სიტი | 34 | 26 | 5 | 3 | 84-21 | 83 |
| 3.ჩელსი | 35 | 19 | 10 | 6 | 70-31 | 67 |
| 4.არსენალი | 34 | 20 | 3 | 11 | 54-41 | 63 |
| 5.ტოტენჰემი | 35 | 19 | 5 | 11 | 60-40 | 62 |
| 6.მანჩესტერი | 37 | 16 | 10 | 11 | 57-56 | 58 |
| 7.ვესტ ჰემი | 35 | 15 | 7 | 13 | 53-46 | 52 |
| 8.ვულვზი | 35 | 15 | 5 | 15 | 35-34 | 50 |
| 9.ბრაიტონი | 36 | 11 | 14 | 11 | 38-42 | 47 |
| 10.კრ.პალასი | 35 | 10 | 14 | 11 | 46-42 | 44 |
| 11.ასტონ ვილა | 34 | 13 | 4 | 17 | 47-47 | 43 |
| 12.ბრენტფორდი | 36 | 12 | 7 | 17 | 44-52 | 43 |
| 13.ნიუკასლი | 35 | 11 | 10 | 14 | 40-56 | 43 |
| 14.ლესტერი | 33 | 11 | 9 | 13 | 48-54 | 42 |
| 15.საუთჰემპტონი | 36 | 9 | 13 | 14 | 41-61 | 40 |
| 16.ბარნლი | 35 | 7 | 13 | 15 | 32-49 | 34 |
| 17.ლიდსი | 34 | 8 | 10 | 16 | 38-72 | 34 |
| 18.ევერტონი | 33 | 9 | 5 | 19 | 35-55 | 32 |
| 19.უოტფორდი | 35 | 6 | 4 | 25 | 32-70 | 22 |
| 20.ნორვიჩი | 34 | 5 | 6 | 23 | 22-71 | 21 |

**ინგლისი. ჩემპიონლიგა**

ბირმინგემი-ბლექბერნი ........ 1:2
ბორნმუთი-მილუოლი ........ 1:0
ვესტ ბრომვიჩი-ბარნსლი ........ 4:0
დერბი-კარდიფი ........ 0:1
ლუთონი-რედინგი ........ 1:0
პიტერბრო-ბლექპული ........ 5:0
პრესტონი-მიდლზბრო ........ 4:1
სტოკი-ქოვენთრი ........ 1:1
სუონსი-ქპრ ........ 0:1
ჰადერსფილდი-ბრისტოლი ........ 2:0
ჰალი-ნოტინგემი ........ 1:1
შეფილდი-ფულემი ........ 4:0

**გერმანია. ბუნდესლიგა**

ფიურტი-დორტმუნდი ........ 1:3
კიოლნი-ვოლფსბურგი ........ 0:1
ფრაიბურგი-უნიონი ........ 1:4
ჰოფენჰაიმი-ლევერკუზენი ........ 2:4
ჰერტა-მაინცი ........ 1:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბაიერნი | 32 | 24 | 3 | 5 | 93-33 | 75 |
| 2.დორტმუნდი | 33 | 21 | 3 | 9 | 83-51 | 66 |
| 3.ლევერკუზენი | 33 | 18 | 7 | 8 | 78-46 | 61 |
| 4.ფრაიბურგი | 33 | 15 | 10 | 8 | 57-44 | 55 |
| 5.ლაიფციგი | 32 | 16 | 6 | 10 | 67-36 | 54 |
| 6.უნიონი | 33 | 15 | 9 | 9 | 47-42 | 54 |
| 7.კიოლნი | 33 | 14 | 10 | 9 | 51-47 | 52 |
| 8.ჰოფენჰაიმი | 33 | 13 | 7 | 13 | 57-55 | 46 |
| 9.მაინცი | 33 | 13 | 6 | 14 | 48-43 | 45 |
| 10.ბოხუმი | 33 | 12 | 6 | 15 | 36-49 | 42 |
| 11.გლადბახი | 32 | 11 | 8 | 13 | 48-59 | 41 |
| 12.ვოლფსბურგი | 33 | 12 | 5 | 16 | 41-52 | 41 |
| 13.აინტრახტი | 32 | 10 | 10 | 12 | 42-46 | 40 |
| 14.აუგსბურგი | 32 | 9 | 8 | 15 | 37-51 | 35 |
| 15.ჰერტა | 33 | 9 | 6 | 18 | 36-69 | 33 |
| 16.შტუტგარტი | 32 | 6 | 11 | 15 | 37-56 | 29 |
| 17.არმინია | 33 | 5 | 12 | 16 | 26-52 | 27 |
| 18.ფიურტი | 33 | 3 | 9 | 21 | 27-80 | 18 |

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

ჰამბურგი-ჰანოვერი ........ 2:1
ინგოლშტადი-ჰანზა ........ 0:0
რეგენსბურგი-ჰაიდენჰაიმი ........ 0:2
შალკე-ზ.პაული ........ 3:2

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

მალიორკა-გრანადა ........ 2:6
ბილბაო-ვალენსია ........ 0:0
კადისი-ელჩე ........ 3:0
სელტა-ალავესი ........ 4:0
ბეტისი-ბარსელონა ........ 1:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.რეალი | 34 | 25 | 6 | 3 | 73-29 | 81 |
| 2.ბარსელონა | 35 | 20 | 9 | 6 | 65-35 | 69 |
| 3.სევილია | 34 | 17 | 13 | 4 | 50-28 | 64 |
| 4.ატლეტიკო | 34 | 18 | 7 | 9 | 59-41 | 61 |
| 5.ბეტისი | 35 | 17 | 7 | 11 | 57-40 | 58 |
| 6.სოსიედადი | 35 | 15 | 11 | 9 | 34-34 | 56 |
| 7.ვილიარეალი | 34 | 14 | 10 | 10 | 54-33 | 52 |
| 8.ბილბაო | 35 | 13 | 13 | 9 | 41-34 | 52 |
| 9.ოსასუნა | 34 | 12 | 9 | 13 | 35-45 | 45 |
| 10.ვალენსია | 35 | 10 | 14 | 11 | 45-49 | 44 |
| 11.სელტა | 35 | 11 | 10 | 14 | 41-38 | 43 |
| 12.რაიო | 34 | 11 | 8 | 15 | 35-39 | 41 |
| 13.ელჩე | 35 | 10 | 9 | 16 | 37-48 | 39 |
| 14.ესპანიოლი | 34 | 10 | 9 | 15 | 37-49 | 39 |
| 15.ხეტაფე | 34 | 8 | 12 | 14 | 31-37 | 36 |
| 16.კადისი | 35 | 7 | 14 | 14 | 33-47 | 35 |
| 17.გარნადა | 35 | 7 | 13 | 15 | 43-59 | 34 |
| 18.მალიორკა | 35 | 8 | 8 | 19 | 32-62 | 32 |
| 19.ლევანტე | 35 | 6 | 11 | 18 | 44-67 | 29 |
| 20.ალავესი | 35 | 7 | 7 | 21 | 28-60 | 28 |

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

უესკა-ხიხონი ........ 1:1
ფუენლაბრადა-სოსიედადი ბ ........ 1:2
ალმერია-ამორებიეტა ........ 3:0
მალაგა-ოვიედო ........ 0:0
პონფერადინა-ბურგოსი ........ 3:1

**იტალია. სერია ა**

ტორინო-ნაპოლი ........ 0:1
სასუოლო-უდინეზე ........ 1:1
ლაციო-სამპდორია ........ 2:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ინტერი | 36 | 23 | 9 | 4 | 78-31 | 78 |
| 2.მილანი | 35 | 23 | 8 | 4 | 61-30 | 77 |
| 3.ნაპოლი | 36 | 22 | 7 | 7 | 68-31 | 73 |
| 4.იუვენტუსი | 36 | 20 | 9 | 7 | 55-33 | 69 |
| 5.ლაციო | 36 | 18 | 8 | 10 | 72-53 | 62 |
| 6.რომა | 35 | 17 | 8 | 10 | 55-40 | 59 |
| 7.ატალანტა | 36 | 16 | 11 | 9 | 65-45 | 59 |
| 8.ფიორენტინა | 35 | 17 | 5 | 13 | 54-47 | 56 |
| 9.ვერონა | 35 | 14 | 10 | 11 | 61-52 | 52 |
| 10.ტორინო | 36 | 12 | 11 | 13 | 45-38 | 47 |
| 11.სასუოლო | 36 | 12 | 11 | 13 | 61-62 | 47 |
| 12.უდინეზე | 36 | 10 | 14 | 12 | 55-55 | 44 |
| 13.ბოლონია | 35 | 11 | 10 | 14 | 39-48 | 43 |
| 14.ემპოლი | 36 | 9 | 10 | 17 | 48-69 | 37 |
| 15.სამპდორია | 36 | 9 | 6 | 21 | 42-59 | 33 |
| 16.სპეცია | 36 | 9 | 6 | 21 | 38-66 | 33 |
| 17.სალერნიტანა | 35 | 7 | 8 | 20 | 31-72 | 29 |
| 18.ჯენოა | 36 | 4 | 16 | 16 | 27-56 | 28 |
| 19.კალიარი | 35 | 6 | 10 | 19 | 32-64 | 28 |
| 20.ვენეცია | 35 | 5 | 7 | 23 | 29-65 | 22 |

**საფრანგეთი. თასი**

**ფინალი**

ნიცა-ნანტი ........ 0:1

**საფრანგეთი. ლიგა 1**

ბრესტი-სტრასბური ........ 0:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 35 | 24 | 7 | 4 | 79-34 | 79 |
| 2.მონაკო | 36 | 19 | 8 | 9 | 59-36 | 65 |
| 3.მარსელი | 35 | 19 | 8 | 8 | 56-36 | 65 |
| 4.რენი | 35 | 19 | 5 | 11 | 77-36 | 62 |
| 5.სტრასბური | 36 | 16 | 12 | 8 | 59-39 | 60 |
| 6.ნიცა | 35 | 18 | 7 | 10 | 44-29 | 60 |
| 7.ლიონი | 36 | 15 | 11 | 10 | 61-48 | 55 |
| 8.ლანსი | 35 | 15 | 10 | 10 | 55-44 | 55 |
| 9.ნანტი | 35 | 14 | 9 | 12 | 50-43 | 51 |
| 10.ლილი | 36 | 13 | 12 | 11 | 43-45 | 51 |
| 11.ბრესტი | 36 | 13 | 9 | 14 | 45-49 | 48 |
| 12.რეიმსი | 35 | 10 | 13 | 12 | 38-38 | 43 |
| 13.მონპელიე | 35 | 12 | 7 | 16 | 48-53 | 43 |
| 14.ტრუა | 35 | 9 | 9 | 17 | 33-47 | 36 |
| 15.ანჟე | 35 | 8 | 11 | 16 | 38-53 | 35 |
| 16.ლორიანი | 35 | 8 | 10 | 17 | 34-59 | 34 |
| 17.კლერმონი | 35 | 8 | 9 | 18 | 35-65 | 33 |
| 18.სტ.ეტიენი | 35 | 7 | 10 | 18 | 38-70 | 31 |
| 19.მეცი | 36 | 5 | 13 | 18 | 34-64 | 28 |
| 20.ბორდო | 35 | 5 | 12 | 18 | 47-85 | 27 |

**საფრანგეთი. ლიგა 2**

ამიენი-პარიზი ........ 1:2
ვალანსიენი-სოშო ........ 1:0
ლე ავრი-ოსერი ........ 1:2
გრენობლი-აიაჩო ........ 1:1
დიჟონი-ნანსი ........ 2:3
დიუნკერკი-გენგამი ........ 1:3
კაენი-კევიი ........ 2:0
პო-ნიორი ........ 2:2
ბასტია-როდეზი ........ 0:1
ტულუზა-ნიმი ........ 2:1

**ნიდერლანდები. ეჰედივიზიონი**

ტვენტე-ფორტუნა ........ 1:2
ტილბურგი-ერაკლესი ........ 2:0
ზვოლე-უტრეხტი ........ 1:1
გრონინგენი-სპარტა ........ 1:2

**პორტუგალია. პრიმეირა ლიგა**

ეშტორილი-მორეირენშე ........ 1:0
ბენფიკა-პორტუ ........ 0:1
პორტიმონენშე-სპორტინგი ........ 2:3

**ბელგია. ა დივიზიონი**

გენტი-მეხელენი ........ 1:0

**ავსტრია. ბუნდესლიგა**

ადმირა-ტიროლი ........ 1:1
ლინცერი-ჰარტბერგი ........ 3:3
ალტახი-რიდი ........ 1:1

**შოტლანდია. პრემიერლიგა**

სელტიკი-ჰართსი ........ 4:1
როსი-მოზერველი ........ 0:1
ლივინგსტონი-სტ.ჯონსონი ........ 1:1
სტ.მირენი-დანდი ........ 2:0
ჰიბერნიანი-აბერდინი ........ 1:1

**თურქეთი. სუპერლიგა**

სივასი-ქაშიმფაშა ........ 1:3
ქარაგუმრუქი-გიოზთეფე ........ 3:1
ადანა-ალანია ........ 1:2
ბაშაქშეჰირი-გალათასარაი ........ 0:0

**შვეიცარია. სუპერლიგა**

ლუგანო-იანგ ბოიზი ........ 3:1
სტ.გალენი-ციურიხი ........ 1:2

**ჩეხეთი. 1 ლიგა**

ბანიკი-ჰრადეც კრალოვე ........ 3:1
აზლინი-ბოჰემიანსი 1905 ........ 1:4
პარდუბიცე-კარვინა ........ 2:0
ტეპლიცე-იაბლონეცი ........ 0:1

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

პლოცკი-ვარტა ........ 0:3
სლასკი-პოგონი ........ 1:1
ვისლა-იაგელონია ........ 0:0

**უნგრეთი. 1 დივიზიონი**

დებრეცენი-პუშ.აკადემია ........ 1:1
ჰონვედი-მეზეკოვეშდი ........ 0:0
ფერენცვაროში-მტკ ........ 0:3

**შვედეთი. ალსვენსკა**

აიკი-გიოტებორგი ........ 1:0
მალმიო-მიალბი ........ 2:0

**ნორვეგია. ელიტსერია**

სარპსბორგი-ოდი ........ 1:0
მიოლდე-ვიკინგი ........ 3:4

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

**სახალხო მკურნალ ლამარა თოდუას „მადლიერების წიგნი“ ათასი მორჩენილი პაციენტის სამადლობელ წერილს ინახავს.**

თოდუების ცნობილი წამლები უამრავ დაავადებას კურნავს.

როგორც ლამარა თოდუა ამბობს, ნებისმიერი დაავადების განკურნებისთვის საჭიროა ორგანიზმის გაწმენდა.

**მადლიერ პაციენტთა რიცხვი ათასობითაა:**

**ლია თეთრაშვილი:** მქონდა მკერდის გამაგრება, მასტოპათია. ლამარა თოდუას მკურნალობით მთლიანად განვიკურნე.

**კლარა წიტაიშვილი:** კორონას შემდეგ დამეწყო საშინელი თმის ცვენა. ვცადე ძალიან ბევრი საშუალება, მაგრამ უშედეგოდ. ლამარა თოდუას წამლებმა თმის ცვენა ხომ შემიჩერა და თმა გაცილებით ხშირიც გამიხდა. ვისაც მსგავსი პრობლემა აქვს, ვურჩევ მიაკითხოს ქალბატონ ლამარას.

**თინა სორდია:** კორონამ დამიტოვა საშინელი ხველა და ქოშინი. ლამარა თოდუას წამლების მიღებიდან მესამე დღესვე შემისუსტდა ხველა, გულიც აღარ მეღლება. 5-6 დღის შემდეგ ძილიც გამიუმჯობესდა.

**ლილი კიზირია:** 83 წლის დედას წლები აწუხებდა ჰაიმორიტი, არც კი მჯეროდა, რომ მორჩებოდა, თოდუოების მალამოთი დედა დღეს თავს შესანიშნავად გრძნობს.

დღესასწაულების შემდეგ, ხშირად უჩივიან გულძმარვას (იჟოგას), ლამარა თოდუას გამწმენდი სითხეებით პრობლემა მოგეხსნებათ.

გაზაფხულზე ავიტამინოზი ხშირად თმის ბუდობრივი ცვენის მიზეზი ხდება. ლამარა თოდუა თავისი მალამოებით თმის ამოსვლის გარანტიას პირდება ყველა პაციენტს, ვინც მას მიაკითხავს.

ლამარა თოდუას მადლიერების წიგნი 5 ათასამდე მორჩენილი პაციენტის ჩანაწერებს ითვლის, სადაც ხშირად ამოიკითხავთ – „განვიკურნე სრულიად“.

ლამარა თოდუა კვალიფიციური კოსმეტოლოგია და მის მიერ მომზადებული მალამოები და ნილბები კანს სრულ ელასტიკურობას უბრუნებს. არჩენს ჩირქოვან გამონაყარს, სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევისა და ლაქების გარეშე.

**მისამართი: საბურთალო, ოთარ ჭილაძის 166. მე-10 კორპუსი. ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52**

**სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება ტელ.: 599-532-690 — 12-დან 17 საათამდე**

## კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. გამოგონების დამადასტურებელი დოკუმენტი; 2. ცნობილი გერმანელი ფეხბურთის მსაჯი; 3. აღორძინების ეპოქის იტალიელი მხატვარი; 4. მგალობელი ჩიტი; 5. ჯალათის ძველი ქართული სახელწოდება; 9. პირფართე თიხის ჭურჭელი; 12. ჰოლივუდის კინოვარსკვლავი მამაკაცი; 14. რომის პაპის დიპლომატიური წარმომადგენელი; 15. იტალიელი მოდელიერი; 17. ინგლისის ნავსადგური პა-დე-კალე-ს სრუტეში; 18. ტერიტორიული ერთეული.

**თარაზულად:** 6. ქართული ხალხური შრომის სიმღერა; 7. ჟორჟ სანდის რომანი; 8. არაბი გლეხი; 10. ყოველდღიური გაზეთი თურქეთში; 11. მანათობელი მწერი; 13. სოფოკლეს ტრაგედია; 16. რკინის მადნიდან გამოდნობილი, ნახშირბადის შემცველი მტკიცე ლითონი; 19. აპარატი, რომელიც განსაზღვრავს ობიექტის ადგილმდებარეობას მისგან არეკლილი ბგერითი ტალღების საშუალებით; 20 კბილის ექიმის სახელწოდება.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*



## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ბიტი; 2. ილი; 3. პროპოლისი; 4. ხირსა; 5. კეტჩერი; 8. ლარი; 9. შერბური; 10. მორიკონე; 12. ქორქია; 13. წრომი; 15. პლაკე.

**თარაზულად:** 1. ბრეგეტი; 6. ქრისტინე; 7. ტოლჩა; 10. მოპსი; 11. სქური; 13. წაბლი; 14. პაპყი; 16. ქოცო; 17. ინდიანა; 18. ორტეგა.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ბოკერია; 2. წნევა; 3. გროტესკი; 4. ეფემერა; 5. ზივზივაძე; 9. მანილა; 12. მელოდია; 14. ველენი; 15. ეტლი; 17. შონია; 18. აჟიო.

**თარაზულად:** 6. ლორენი; 7. გრინფისი; 8. ლენოვო; 10. უელსი; 11. სანგვინიკი; 13. შვიდეული; 16. ზედაშე; 19. ჟორდანია; 20. კიმიგაიო.

# ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


9 მაისი

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | — 3.0318 |
| ევრო | — 3.2110 |
| დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი | — 3.7506 |
| 100 რუსული რუბლი | — 4.5709 |

## ამინდის პროგნოზი 9 მაისისათვის




## ხავი ერნანდესი: „მოგება დავიმსახურეთ“



ბარსელონამ სტუმრად ბეტისი დაამარცხა ანგარიშით 2:1.

კატალონიელებმა გამარჯვების გოლის გატანა ბოლო წუთზე მოახერხეს და ეს ჟორდი ალბამ გააკეთა. მატჩის შემდეგ ხავიმ განაცხადა, რომ ის კმაყოფილია შედეგით, თუმცა თამაშის ხარისხის გაუმჯობესება ყოველთვის შესაძლებელია:

– ცენტრში ბურთს ხშირად ვკარგავდით და ეს პრობლემაა, მაგრამ ჩვენ შეგვიძლია ბოლომდე ბრძოლა გამარჯვებისთვის და ეს მახარებს. დღეს მნიშვნელოვანი გამარჯვება მოვიპოვეთ.

## მამარდაშვილი ატლეტიკთან მატჩის საუკეთესო მოთამაშედ დასახელდა



გიორგი მამარდაშვილი ძალიან კარგ სეზონს ატარებს და მას ხშირად აქებენ ესპანურ მედიაში. გარდა ამისა, გიორგი უკვე სამჯერ დაასახელეს მატჩის საუკეთესო ფეხბურთელად და ეს ამჯერად ატლეტიკთან მოხდა, როდესაც ქართველმა გოლკიპერმა რამდენიმე მშვენიერი სეივი გააკეთა.

მამარდაშვილი ესპანეთის ჩემპიონატში ერთ-ერთ გამორჩეულ მეკარედ ითვლება და მისი შეძენით შესაძლოა გრანდებიც დაინტერესდნენ.

## კლოპი: „ჩემპიონობა რთული იქნება“



ლივერპულმა საკუთარ მოედანზე ტოტენჰემი მიიღო და გამარჯვება ვერ მოიპოვა, რის შემდეგაც მისი ჩემპიონობის შანსები საგრძნობლად შემცირდა.

ეს კარგად ესმის იურგენ კლოპსაც, რომლის თქმითაც, ჩემპიონობა რთული იქნება და ის ამას შეგუებულია:

– სამწუხაროდ, ბევრი ქულა დავკარგეთ და ამის გამო ჩემპიონობა გაგვიჭირდება, მაგრამ ჩვენ მაინც ბოლომდე ვიბრძოლებთ.

*მოამზადა ბექა გოგინაშვილმა*

## იუმორი

●●●

ქუჩაში მამაკაცი მიწაზე წევს. სხვადასხვა ეროვნების ქალების რეაქცია მის დანახვაზე.

ქართველი: – შენ ჩაგისკდა ეგ მუცელი, გამომტყვრალხარ! სახლში ალბათ მშიერი ცოლი და ბავშვი გელოდება!

გერმანელი: – კაცი ცუდადაა! სასწრაფო გამოიძახეთ!

ფრანგი: – ვისია ეს მამაკაცი? არავისია? ტაქსი, ტაქსი!!!

●●●

ერთი მეზობელი მეორეს ეკითხება:

– მეზობელო, მიწა წრეზე რატომ გაქვს მოხნული?

– ბიჭო, ცხენი რომ ვიყიდე, ხომ იცი?

– კი, როგორ არა.

– ჰოდა, ცირკში ყოფილა ნამუშევარი და...

●●●

საღამოს სახლში დაბრუნებულ მამას თავისი ხუთი წლის გოგონა კართან დახვდა წასასვლელად გამოწყობილი.

– შვილო, სად მიდიხარ?

– დედა მეჩხუბება და გადავწყვიტე, წეროსთან დავბრუნდე.

●●●

ქმარი ცოლს ეუბნება:

– გვეყოფა, სახლში წავიდეთ, სანამ ამ მაღაზიაში სხვა ქალი არ მომიძებნია და სახლში მასთან ერთად არ დავბრუნებულვარ...

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

## ვალერი მელაძემ და ვერა ბრეჟნევამ რუსებისთვის სიმღერაზე უარი თქვეს



მომღერლებმა ვალერი მელაძემ და ვერა ბრეჟნევამ თურქეთში რუსი ტურისტებისთვის დაგეგმილ კონცერტში მონაწილეობაზე უარი განაცხადეს. თურქეთის ერთ-ერთ სასტუმროში რუსებისთვის დაგეგმილი კონცერტი ჩაიშალა. მომღერლები თურქეთში არ ჩაფრინდნენ. ინფორმაცია რუსულმა მედიამ სასტუმროს მენეჯერზე დაყრდნობით გაავრცელა. ვერა ბრეჟნევა წარმოშობით უკრაინელია. მან რუსეთის მიერ უკრაინაზე თავდასხმის პირველივე დღეებში უკრაინელების დახმარება დაიწყო. ვალერი და კონსტანტინე მელაძეებმა კი რუსეთი დატოვეს და საცხოვრებლად საფრანგეთში წავიდნენ.

## თაკო თომაშვილმა „სანრემო ჯუნიორზე“ მეორე ადგილი დაიკავა



იტალიაში სიმღერის საერთაშორისო კონკურსი „სანრემო ჯუნიორი 2022“ გაიმართა. რამდენიმეწლიანი პაუზის შემდეგ, კონკურსს საქართველო შეუერთდა. ჩვენი ქვეყანა ამ კონკურსზე თაკო თომაშვილმა წარადგინა და საპრიზო ადგილიც დაიმსახურა.

საქართველოს წარმომადგენელი „სანრემო ჯუნიორზე“ მეორე ადგილის მფლობელი გახდა. თაკო თომაშვილი ამ კონკურსზე გიგა კუხიანიძის სტუდიის „გიგა პროდაქშენის“ ხელშეწყობით გაემგზავრა.

## გიორგი ჩიტაური უკრაინის დასახმარებლად საკონცერტო ტურნეს იწყებს



მომღერალი გიორგი ჩიტაური 16 მაისიდან საქველმოქმედო საკონცერტო ტურნეს იწყებს. მომღერალი მეგობრებთან ერთად უკრაინელი ხალხის მხარდასაჭერად საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში კონცერტებს ჩაატარებს. პირველი კონცერტი ახალციხეში რაბათის ციხეში გაიმართება. მასში მონაწილეობას მიიღებენ ყველასათვის საყვარელი და ნაცნობი შემსრულებლები.

საქველმოქმედო კონცერტზე დასასწრები ბილეთის ფასი 10 ლარია.

## რეზო ჩხიკვიშვილმა ნინო ხარატიშვილის რომანის თეატრალიზებაში მიიღო მონაწილეობა



მსახიობმა რეზო ჩხიკვიშვილმა მონაწილეობა მიიღო ახალ სპექტაკლში, რომელიც ქართველი მწერლის ნინო ხარატიშვილის რომანის „მერვე სიცოცხლე (ბრილკასთვის)“ მიხედვით დაიდგა.

ესენის თეატრმა საპრემიერო წარმოდგენა უკვე გამართა. სპექტაკლმა მაყურებლისგან დიდი მოწონება დაიმსახურა. თავად ავტორს წარმოდგენა ჯერ არ უნახავს, მაგრამ რეზო ჩხიკვიშვილს პირობა მისცა, რომ ესენში ჩავა და წარმოდგენას აუცილებლად დაესწრება.

ცხოვრების უმნიშვნელოვანეს თემებზე დაწერილ ნინო ხარატიშვილის რომანს ბრილკასა და მისი დიდი ოჯახის წევრებზე ათასობით ერთგული მკითხველი ჰყავს.

## ხანდაზმული მამაკაცი ციყვის თავდასხმისგან იხსნეს



ამერიკის ლუიზიანის შტატში პოლიციელებმა გადაარჩინეს ხანდაზმული მამაკაცი, რომელსაც გააფთრებული ციყვი დაესხა თავს.

პენსიონერი საკუთარი სახლის მახლობლად სეირნობდა, როდესაც მოულოდნელად სახურავიდან ციყვი დაახტა. აგრესიული ცხოველი მამაკაცს თავს დაესხა და ხელში ჩააფრინდა.

ამ ყოველივეს თვითმხილველმა დაუყოვნებლივ პოლიცია გამოიძახა.

– თვითმხილველმა ტელეფონით შეგვატყობინა, რომ 78 წლის მამაკაცს თავს დაესხა ციყვი, რომელიც მას ხელზე კბენდა. მამაკაცი მის მოშორებას ან გაგუდვას ცდილობდა, მაგრამ ცხოველის მოხელთებას ვერაფრით ახერხებდა, – განაცხადა ადგილობრივი პოლიციის წარმომადგენელმა. როდესაც სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლები ადგილზე მივიდნენ, მამაკაცი ჯერ კიდევ აგრძელებდა ციყვთან ორთაბრძოლას. პოლიციელებმა მათი დაშორიშორება მოახერხეს, თუმცა მიღებული დაზიანებების შედეგად ციყვი მოკვდა. მამაკაცმაც სერიოზული დაზიანებები მიიღო. ექიმების თქმით, ის ჯანმრთელობის სრულად აღდგენას შეძლებს.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

## აფხაზეთის საგუნდო კაპელა საქველმოქმედო კონცერტს გამართავს

გურამ ყურაშვილის სახელობის სახელმწიფო საგუნდო კაპელა 13 მაისს კაპელის ერთ-ერთი წევრის სოფია კვიციანის დასახმარებლად მართავს საქველმოქმედო კონცერტს „სოფოსთვის“.

კონცერტი სოხუმის სახელმწიფო დრამატული თეატრის დიმიტრი ჯაიანის სახელობის დარბაზში უზნაძის ქუჩაზე გაიმართება. ბილეთის ფასი 35 ლარია.

სოფია კვიციანს, 2 შვილის დედას, ჯანმრთელობის პრობლემები აქვს და ძვირადღირებული მკურნალობა ესაჭიროება. მის დასახმარებლად თიბისი ბანკში სპეციალური ანგარიშია გახსნილი.

## ერეკლე დეისაძე ახალი ალბომის პრეზენტაციას მოაწყობს



მომღერალი ერეკლე დეისაძე თავისი ახალი ალბომის „ამ ენით ამენ“ პრეზენტაციას გამართავს.

20 მაისს მონოჰოლში ერეკლე დეისაძე საპრეზენტაციო კონცერტით მონატრებულ მსმენელს შეხვდება.

ალბომი შესრულდება ცოცხლად, ბენდთან ერთად. კონცერტზე, რა თქმა უნდა, ერეკლე დეისაძის ცნობილი ჰიტებიც აჟღერდება.

## სამხატვრო აკადემია 100 წლისაა



აპოლონ ქუთათელაძის სახელობის თბილისის სამხატვრო აკადემია იუბილარია. არაერთი ცნობილი ხელოვანის აღმზრდელ სასწავლებელს დაარსებიდან 100 წელი შეუსრულდა.

საიუბილეო თარიღი აკადემიას მისმა ერთ-ერთმა წარმატებულმა და ცნობილმა მხატვარმა ლევან სონღულაშვილმა მიულოცა:

– თბილისის სამხატვრო აკადემიაში პირველად 9 წლის ასაკში მივედი. სკოლაში, სახლში, ქუჩაში, ძილის წინ, საუზმემდე – სულ ვხატავდი. დედამ ნამუშევრების ნაწილს მოუყარა თავი და აკადემიაში მიმიყვანა, პროფესორებს გაეცნო, ნახატები აჩვენა... და ასე, შეფასებებით და რეკომენდაციებით გახარებულები შინ დავბრუნდით.

აკადემიაში უმაღლესი შეფასებით ჩავირიცხე, საკურსო ნახატი კათედრაზეც გამოფინეს, პირველ კურსზევე აკადემიაში მოეწყო პერსონალური გამოფენა, რომელიც გერმანელმა ვიზიტორმა ნახა და მიუნხენში მიმიწვიეს სპექტაკლის, „იოზეფი და მისი ძმები“ სცენოგრაფიის გასაფორმებლად. არაერთი საინტერესო მოგონება მაკავშირებს აკადემიასთან.

მყავდა შესანიშნავი ლექტორები: დიმა ერისთავი, გივი კასრაძე, ლორეტა აბაშიძე, გია გუგუშვილი და სხვა. კიდევ ბევრ კარგ ხელოვანთან მომიწია ურთიერთობა, თუმცა გოგი წერეთელი „გენდალფი“ აღმოჩნდა, უმაღლესი კლასის ლექტორი, რომელიც ცოტა ხნის წინ გარდაიცვალა.

სამხატვრო აკადემიას უამრავი პრობლემა აქვს, წლებია, მრავალი დილემის წინაშე დგას, რომელიც დღემდე გადაუჭრელია, მთელი სისტემა რეორგანიზაციას საჭიროებს, ახალ სიცოცხლეს, ახალ სასწავლო მეთოდოლოგიას, განახლებულ სასწავლო ნაწილს და ა.შ., როგორც ბევრი სხვა ინსტიტუცია.

და მაინც, სამხატვრო აკადემია, ჩემთვის, ყველაზე ძვირფასი და მნიშვნელოვანი სახელოვნებო უნივერსიტეტია საქართველოში.

პ.ს. არქიტექტურასა და მის მნიშვნელობაზე აღარ ვსაუბრობ.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

## ასტროპროგნოზი



### 9 მაისისათვის

**ვერძი** – დღეს სამოგზაუროდ ნუ წახვალთ. ნებისმიერი ვოიაჟით უკმაყოფილო დარჩებით. სიზმარი, სავარაუდოდ, წინასწარმეტყველური იქნება. **კურო** – სოციალურ სფეროში ფართო პერსპექტივები ჩნდება. კეთილისმყოფელი დღეა სამომავლო გეგმების შესამუშავებლად. **ტყუპები** – საოჯახო საქმეების მოგვარება დაუყოვნებლივ დაიწყეთ. მამაკაცები ფინანსებს გაუფრთხილდით. **კირჩხიბი** – დასვენება გჭირდებათ. ოჯახში მშვიდი ატმოსფეროა. ბავშვებთან ურთიერთობა სიამოვნებას მოგანიჭებთ. **ლომი** – ცვლილებების დროა. ელოდეთ როგორც პოზიტივს, ისე – ნეგატივს. ნუ იაქტიურებთ. **ქალწული** – პასიური დღეა. ნუ გარისკავთ, განსაკუთრებით – ფინანსური კუთხით.**სასწორი** – ნებისმიერი საქმიანი კონტაქტი იღბლიანია. გელით რომანტიკული შეხვედრა. **ღრიანკალი** – გარშემომყოფებთან ურთიერთობაში უფრო დამთმობი და მოსიყვარულე უნდა იყოთ. თქვენს მდგომარეობას ბოროტად ნუ გამოიყენებთ. **მშვილდოსანი** – მშვენიერი დღეა საყიდლებზე წასასვლელად. ზუსტად იმ ნივთს შეიძენთ, რომელიც ძალიან გამოგადგებათ. **თხის რქა** – ფულს იოლად ნუ დახარჯავთ. მხოლოდ აუცილებელი ნივთი შეიძინეთ. მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მისაღებად არაკეთილისმყოფელი პერიოდია.**მერწყული** – ხელმძღვანელობა თქვენი მუშაობით კმაყოფილია. ნუ მოდუნდებით. ქებამ არ გაწყინოთ. **თევზები** – გადაღლილი ხართ. დაისვენეთ და ძალები აღიდგინეთ. ოჯახის წევრებთან კომპრომისზე წასვლა მოგიწევთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. ავეჯის მწარმოებელი შვედური ფირმა; 2. მუსიკალური პრემია აშშ-ში; 3. მეფედ კურთხევის საზეიმო ცერემონიალი; 4. მდინარე ლონდონში; 5. ნორვეგიელი მწერალი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 8. ქართული საბავშვო ჟურნალი; 9. კარაქის შესადღვები, ხის მოგრძო ჭურჭელი; 10. ზოგიერთ ქვეყანაში მინისტრთა ერთობლიობა; 12. პოემა „ალუდა ქეთელაურის“ პერსონაჟი; 13. დიდი თევზსაჭერი ბადე; 15. ოპტიკური მინების მწარმოებელი გერმანული კომპანია.

**თარაზულად:** 1. ქართველი მევიოლინე ქალი; 6. სამონასტრო კომპლექსი იმერეთში; 7. ერთწლიანი ბალახოვანი მცენარე; რომლის ფესვებისგანაც ამზადებენ წითელ საღებავს; 10. ნეონის ნათურის გამომგონებელი ფრანგი ფიზიკოსი; 11. სასტუმროების ქსელის მფლობელი ამერიკული კომპანია; 13. საქართველოში გავრცელებული ტროპიკული მცენარე, რომისგანაც ამზადებენ მაღალხარისხოვან ტექნიკურ ზეთს; 14. შავი ან ლურჯი ფერის, ტკბილნაყოფიანი კენკროვანი ბუჩქი; 16. ცხვრის ქონიანი კუდი; 17. მაღალხარისხოვანი ყავის ერთ-ერთი ჯიში; 18. აპრილის თვის ქართული სახელწოდება.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

